ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

რაჭაში, მდინარე ჭანჭახის კალაპოტში კიდევ ერთი ცხედარი იპოვეს



გვ.2

ორშაბათი, 11 სექტემბერი, 2023 №178 (9214) ფასი: 80 თეთრი

„ჩვენი გადახდილი გადასახადით ხელისუფლება თუ „გულობს“, მაშინ ჩვენ ევროკავშირს არ ვიმსახურებთ“

გია ხუხაშვილი: „თუ გვინდა ევროკავშირი, მას აქვს თავის თამაშის წესები, თავისი თანაცხოვრების ალგორითმი. შენ უნდა მოერგო იმას, ის კი არ უნდა მოგერგოს შენ!“

გვ.2

რევაზ ჯაველიძე: „პრემიერ-მინისტრს კერძო ვიზიტის დროს არასდროს უმგზავრია და არც მომავალში აპირებს, რომ სახელმწიფოს ხარჯზე იმგზავროს“

გვ.2

„ღარიბაშვილი არა, ივანიშვილი დაგვცინის და ჩვენც ვიტანთ“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „საპარლამენტო ოპოზიცია გონს მოეგოს და გაყალბებულ პარლამენტში პროცედურებით თამაშს მორჩეს“

ჯოზეფ ბორელი: „იმპიჩმენტი დაძაბავს სიტუაციას“

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენმა პარტნიორებმა ხმამაღლა და ღიად თქვეს, რომ საქართველო სრულად ასრულებს ვალდებულებებს“

პრემიერი: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ არის პოლიტიკური საკითხი, ვცემთ რა პატივს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას, ვალდებული ვიყავით ფორმალური რეაგირება მოგვეხდინა“

გვ.3

2 კახა კალაძე კითხვაზე, შეინყალებს თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილს — მე არაფერს გამოვრიცხავ

3 გიორგი გახარია: „ბიძინა საქართველოს ევროპულ მომავალს უნყობს იმპიჩმენტს, მადლობა ბიძინას „მშვიდობისთვის“

7 ესპანეთმა სარკეში ჩაგვახედა

6 რა გზავნილები ჩამოუტანა ბლინკენმა ზელენსკის

1993230720223

„ჩვენი გადახდილი გადასახადით ხელისუფლებას ეს „გულაობს“, მაშინ ჩვენ ევროკავშირს არ ვიმსახურებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.



გია ხუხაშვილი: „თუ გვინდა ევროკავშირი, მას აქვს თავის თამაშის წესები, თავისი თანაცხოვრების ალგორითმი. შენ უნდა მოერგო იმას, ის კი არ უნდა მოგერგოს შენ!“

– ბატონო გია, ოპოზიციის ერთი ნაწილი, პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს. როგორია თქვენი შეფასებები? რამდენად გასცდა ირაკლი ღარიბაშვილი ყველანაირ ჩარჩოსა და კანონს?

– დავიწყოთ იქედან, რომ ხელისუფლება არ სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით და ის ანგარიშვალდებულია ხალხთან. როდესაც ჩნდება სერიოზული ეჭვი და ოქროს მოწმეც ჰყავს ამ ყველაფერს, ავიაკომპანიის ხელმძღვანელის სახით, ბუნებრივია, ასეთ დროს არანაირი იმპიჩმენტი საჭირო არ უნდა იყოს. ასე მუშაობს დემოკრატია ნორმალურ და ცივილიზებულ სახელმწიფოში. როდესაც გამოდის პრემიერი და იძახის, ჩვენ ვიმსახურებთ ევროკავშირის კანდიდატობასო, იმ სიუჟეტის შემდეგ, რაც გუშინ ჩვენ ვიხილეთ, ნებისმიერი ევროპელი ლიდერი უკვე გადამდგარი იქნებოდა, პროკურატურაში საქმე იქნებოდა აღძრული და ის იქნებოდა დაკითხვაზე დაბარებული. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული. ანუ დიდი რაოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა მოხდა პირადი მიზნებისთვის.

– ანუ იმპიჩმენტის პროცედურაც არ უნდა სჭირდებოდეს, თავად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა?

– რა თქმა უნდა. თუ მას პრეტენზია აქვს, რომ ის არის დემოკრატიული ქვეყნის ლიდერი, სწორედ ასე უნდა მოიქცეს. პრემიერმინისტრობა მარტო უფლება კი არ არის, ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. როდესაც ასეთი რაღაცა ხდება, ბუნებრივია, ამას ავტომატურად მოჰყვება შედეგები. სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი ბრალდება რა იყო თავიდან? სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა, მაშინაც სპეციალური დაცვის სამსახურის მეშვეობით...

მე ახლა არ მინდა ამაზე წინასწარ ვილაპარაკო. გამოძიებამ უნდა დაადგინოს უკვე ყველა გარემოება. პოლიტიკური პასუხისმგებლობა რომ უკვე დამდგარია, ეს ცხადია. დავუშვათ გამოვიდნენ და თქვეს, რომ თვითონ გადაიხადა ფული და დაიწყეს მისი გათეთრება, ეს ვერ უშველის. თვითონაც რომ გადაეხადა ფული, მაგრამ ეს არის ბორტი ნომერი ერთი ქვეყნის. ბორტი ნომერი ერთი ასე ქირავდება კერძო პირებსა და კერძო ვიზიტებზე?! ეს ხომ წარმოუდგენელია. გარდა ამისა, მას აქვს თავისი ამორტიზაციის ხარჯები. კიდევ ბევრი სხვა ხარჯი ახლავს თან. ამიტომ ჩვენ საქმე გვაქვს მეტი სიმძიმის, ან ნაკლები სიმძიმის, მაგრამ სავარაუდო დანაშაულთან. თვითონაც რომ გადაეხადა ფული ამაში, მორალურად და პოლიტიკურად ის უკვე წაგებულია. პოლიტიკური პასუხისმგებლობა უკვე სახეზეა!

გაჭირვებული ქვეყნის პრემიერმინისტრი როცა ხარ და შენ, თუნდაც საკუთარი ხარჯებით, ჩარტერით იწყებ მგზავრობას, ეს უკვე ცუდი ფაქტია. ეშინოდა საკუთარ მოქალაქეებთან ერთად ერთ თვითმფრინავში ჩაჯდომა?! თუ რატომ, რისთვის აკეთებ ამას?! ან როგორ უნდა აღიქვას ეს ხალხმა?! პოლიტიკური პასუხისმგებლობა აქ უკვე არის ცალსახა. ლიდერები ზუსტად პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამო მიდიან ხელისუფლებიდან.

– რა მოლოდინი გაქვთ, რა გამოვა ამ ყველაფრიდან?

– რაც შეეხება მოლოდინებს, ხელისუფლება დღეს ამბობს, რომ ის მსახური კი არ არის ამ საზოგადოების, ის არის ბატონი. ჩვენ ვიხდით გადასახადებს და შემდეგ ამ გადასახადებს ისინი იყენებენ პირადი მიზნებისთვის. სწორედ ამას გვეუბნებიან. შესაბამისად, მთავარი მექანიზმი არის ისევ საზოგადოებრივი კონტროლი. ჩვენ, საზოგადოებამ უნდა ვაიძულოთ ის, კეთილი ინებოს და მიხვდეს და გაიგოს, რომ ეს საზოგადოება ამას არ მოითმენს და არ აიტანს. ჩვენ უნდა შევაზანზაროთ! თუ თვითონ ამ ნაბიჯს არ გადადგამს, მაშინ საზოგადოებამ უნდა აიძულოს ის, რომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ასევე სამართალდამცავი სისტემაც, რომ შესაბამისი გამოძიება შედგეს. არ გამოვა სხვანაირად. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, ამ შემთხვევაში რა გამოდის? ასეთ ვითარებაში მარტო ხელისუფლება კი არ გამოდის დაშორებული ევროკავშირისგან, გამოვდივართ ჩვენც. დღეს ევროკავშირის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს, თუ ჩვენ, საზოგადოებას, იმის თავი არ გვაქვს, რომ ხელისუფლება გვემსახურებოდეს ჩვენ, მაშინ ჩვენც არ ვიმსახურებთ. თუ ამ საზოგადოებას მიაჩნია, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, რა მოხდა მერე, მე რომ გადასახადს ვიხდი, იმით ხელისუფალი „გულაობს“ და ჩვენ თუ ეს ნორმალურად მიგვაჩნია, მაშინ ჩვენ ევროკავშირს არ ვიმსახურებთ – მარტო ხელისუფლება კი არა, მთლიანად საზოგადოება. ასეთ შემთხვევაში არც არაფერზე უნდა გვქონდეს პრეტენზია. ახლა გამოჩნდება, რა პროცესთან გვექნება საქმე.

– საპარლამენტო ოპოზიცია აქტიურად აპირებს იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას.

– რა თქმა უნდა, პარლამენტმა ყველა ბერკეტი უნდა აამუშაოს, იმპიჩმენტიც უნდა დააყენოს, მაგრამ, რაც მთავარია, საზოგადოებამ, ხალხმა უნდა აჩვენოს აი ამ ვაკხანალიისა და განუკითხაობის მიუღებლობა. თუ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ, ყველა ხელისუფალი ასე მოიქცევა და ყველა ამ გზას დაადგება. თუ კონტროლი არ არსებობს, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება ასცდეს გზას. სანამ ხელისუფლებას არ ექნება შიში, რომ ასეთი ქმედება არის დასჯადი, მაშინ სულ ასე ვიქნებით და პირდაპირ გეტყვით, რომ მაშინ ჩვენი ადგილი ევროკავშირში ნამდვილად არ არის.

– რას იტყვით ბორელის ვიზიტზე. საზოგადოებამ საკმაოდ უარყოფითად შეაფასა პრემიერის გზავნილები. რას იტყვით თქვენ? არ უნდა „ოცნების“ ხელისუფლებას კანდიდატის სტატუსი?

– პრემიერი ამბობს მარტივ რაღაცას, მიმიღე ისეთი, როგორიც ვარ, თუ არადა, კარგად იყავი. აი, ამ ენაზე ელაპარაკება საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირს. თუ გვინდა ევროკავშირი, მას აქვს თავის თამაშის წესები, თავისი თანაცხოვრების ალგორითმი. შენ უნდა მოერგო იმას, ის კი არ უნდა მოგერგოს შენ! მოკლედ, რთული სიტუაციაა, ამიტომ საზოგადოებამ უნდა თქვას თავის სიტყვა. პოლიტიკოსების ამბავი გასაგებია, გინდა ხელისუფლებაზე ვილაპარაკოთ და გინდა ოპოზიციაზე. საზოგადოებამ უნდა მიუჩინოს ყველას საკადრისი ადგილი!

რევაზ ჯაველიძე: „პრემიერ-მინისტრს კერძო ვიზიტის დროს არასდროს უმგზავრია და არც მომავალში აპირებს, რომ სახელმწიფოს ხარჯზე იმგზავროს“

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის რევაზ ჯაველიძის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს კერძო ვიზიტის დროს არასდროს უმგზავრია სახელმწიფოს ხარჯზე.

მისივე თქმით, პრემიერს კანონი არ დაურღვევია.

– საქართველოს პრემიერ-მინისტრს კერძო ვიზიტის დროს არასდროს უმგზავრია – არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში და არც მომავალში აპირებს, რომ სახელმწიფოს ხარჯზე იმგზავროს. მას საქართველოს კანონი არ დაურღვევია. სამთავრობო ბორტის გამოყენების უფლება მას აქვს ისევე, როგორც სახელმწიფო დაცვის უფლება. ამაზე ანზორ ჩუბინიძემ საკმაოდ ვრცელი განცხადება გააკეთა და ის კამპანია, რომელიც დღეს მიმდინარეობს, არის ცილისმწამებლური, არის ცრუ და არის ტყუილი. ეს იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის კერძო ვიზიტი და ის არის პასუხისმგებელი იმ ხარჯებზე, რაც დაკავშირებულია ამ ვიზიტთან, – განაცხადა რევაზ ჯაველიძემ „იმედთან“ საუბრისას.

ცნობისთვის, „ტვ პირველის“ ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამთავრობო თვითმფრინავი პირადი ვიზიტისთვის გამოიყენა.

საპასუხოდ მთავრობის სტრატკომმა დღეს კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა, რითაც გამოეხმაურა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის აშშში მგზავრობის შესახებ გასულ სიუჟეტს და დეზინფორმაცია უწოდა.

სტრატკომის ინფორმაციით, რეისი, რომლითაც პრემიერ-მინისტრი მიუნხენში გაემგზავრა, იყო კომერციული და კერძო ვიზიტისას პრემიერ-მინისტრის მგზავრობის თუ ნებისმიერი სხვა ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გაწეულა. ამასთან, მთავრობის სტრატკომი განმარტავს, რომ თვითმფრინავი, რომლითაც პრემიერ-მინისტრმა მიუნხენამდე იმგზავრა, იმყოფება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ბალანსზე, რომელსაც აქვს სრული უფლება, მიიღოს შემოსავლები, მათ შორის, კომერციული და კერძო პირებისგან.

ირაკლი კობახიძე: „ისე იშლება რადიკალური ოპოზიცია, რომ მეშინია, შემდეგ პარლამენტში მარტო არ შევიდეთ“

– ისე იშლება არა მარტო ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია, არამედ მთლიანად რადიკალური ოპოზიცია, რომ მეშინია, შემდეგ პარლამენტში მარტო არ შევიდეთ, გადავლახოთ ბარიერი, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი განმარტებით, ნაციონალური მოძრაობის შესაძლო დაშლა კარგია, რადგან ეს სისტემას გააძლიერებს.

– თანდათანობით აქეთკენ მიდის ეს პროცესები. მთლიანობაში კოლექტიური ნაცმოძრაობის დაშლა არის დადებით პროცესი. ბუნებრივია, ეს ჩვენს დემოკრატიულ სისტემას გააძლიერებს, – განაცხადა კობახიძემ.

კახა კალაძე კითხვაზე, შეინყალებს თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილს – მე არაფერს გამოვრიცხავ

– მე არაფერს გამოვრიცხავ, – ასე უპასუხა თბილისის მერმა, კახა კალაძემ მედიის კითხვას, რომელიც საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შეწყალების საკითხს უკავშირდებოდა.

კალაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილს ძალიან ბევრჯერ აქვს პრინციპული განცხადებები გაკეთებული სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით, ვერ იტყვის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს დღეს პრეზიდენტი.

– თუმცა, ჩვენ ბოლო დროს ისეთი რაღაცები ვიხილეთ, რას ძალიან მძიმეა, მე ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტი სააკაშვილთან მიმართებაში, თუმცა, როგორც ვიცით, არის სხვა კონკრეტულ საქმეები, რაზეც პარალელურად მიმდინარეობს გამოძიება, – აცხადებს კალაძე.

რაჭაში, მდინარე ჭანჭახის კალაპოტში კიდევ ერთი ცხედარი იპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, რაჭაში, მდინარე ჭანჭახის კალაპოტში, კიდევ ერთი ცხედარი იპოვეს. უწყების თქმით, სტიქიის ზონაში სამძებრო-სამაშველო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გრძელდება.

განცხადებას გთავაზობთ უცვლელად:

– შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველების მიერ, რაჭაში, მდინარე ჭანჭახის კალაპოტში, კიდევ ერთი ცხედარია ნაპოვნი.

ონის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ზონაში სამძებრო-სამაშველო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. ამ დროისთვის სტიქიის ზონაში აღმოჩენილია 32 ცხედარი და ძებნა 1 პირთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს. ღონისძიებაში ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყველა შესაბამისი დანაყოფი, ასევე მძიმე ტექნიკა, დრონები, მცურავი საშუალებები და კინოლოგთა ჯგუფი, – ნათქვამია განცხადებაში. ცნობისთვის, რაჭაში მეწყერი 3 აგვისტოს ჩამოწვა, რასაც, ამ დროისთვის დადასტურებული ინფორმაციით, 32 ადამიანი ემსხვერპლა. მაშველები ერთ პირს ამ დრომდე ეძებენ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ღარიბაშვილი არა, ივანიშვილი დაგვცინის და ჩვენც ვიტანთ“

ლაშა ჩხარტიშვილი: „საპარლამენტო ოპოზიცია გონს მოეგოს და გაყალბებულ პარლამენტში პროცედურებით თამაშს მორჩეს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, „ლელოს“ ინიციატივას, რომ პარლამენტში ოპოზიციამ პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს, ბექა ოდიშარიამ შეევარდნაძის ცნობილი სიტყვებით უპასუხა – „მანამ არ აგიდგეთ გვერდები“. სიმბოლური დატვირთვა აქვს იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას ორივე მიმართულებით?

– ახლა აღარ არის სიმბოლური მოქმედებების დრო. სჯობს ოპოზიციამ, რეალური ბრძოლისთვის დაიწყოს მზადება. ახლა სიმბოლური დატვირთვისთვის აღარ უნდა ეცალოს ოპოზიციას.

როგორია ეს ხელისუფლება, ყველამ მშვენივრად იცის. როგორი პრემიერი გვყავს, ესეც ვიცით. ადამიანებს წამლის ფული არ აქვთ, საჭმლის ფული არ აქვთ, სტიქიაც და უბედურებაც ამ საწყალ ხალხს დაატყდა თავს და ამ დროს ქვეყანას ჰყავს პრემიერი, რომელსაც შვილი უნივერსიტეტში სახელმწიფო თვითმფრინავით მიჰყავს. ამაზე მეტი დაცინვა რა უნდა იყოს. ღარიბაშვილი არა, ივანიშვილი დაგვცინის და ჩვენც ვიტანთ.

საქართველოს პრემიერი როგორც არაბი შეიხი, ისე იქცევა. ამ ქვეყნიდან ხალხი ლუკმა-პურის საშოვნელად გარბის, ქვეყანა ხალხისგან დაიცალა, რადგან თავი ვერ გააქვთ, ხელისუფლება კი დასასვენებლად თვითმფრინავით ერთი ქვეყნიდან მეორეზე გადადის. არ ვიცი, რა შეიძლება ამას დავარქვა. ამიტომ ვამბობ, რომ საპარალმენტო ოპოზიციამ თავი უნდა დაანებოს თამაშს.

– თქვენ ამბობთ, რომ თამაშობენ?

– დიახ! პარლამენტარობანას თამაშს უნდა მორჩნენ. ბრძოლა ახლავე ქუჩაშია დასაწყები, რეალური ბრძოლა და არა სიმბოლური!

– ქუჩაში გასვლას აზრი აქვს?

– როდესაც შენი არცერთი წინადადება არ გადის, როდესაც შენი არცერთი კანონპროექტი არ გადის, როდესაც ყველა შენი წინადადება თუ იდეა იგნორირებულია და მხოლოდ დამკვირვებლის როლში ხარ, მაშინ ბრძოლა ქუჩაში უნდა დაიწყო.

– რა მოთხოვნით?

– სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით ბრძოლა ახლავე უნდა დავიწყოთ და არა არჩევნების შემდეგ. ახლავე თუ არ ვიზრუნეთ არჩევნების სამართლიანად ჩატარებაზე, მერე უკვე ძალიან გვიან იქნება. არჩევნებს კიდევ მოიპარავენ ესენი და კიდევ გაიფორმებენ გამარჯვებას. მერე კი სამუდამოდ იქნებიან. ამიტომ ვამბობ, საპარლამენტო ოპოზიცია გონს უნდა მოეგოს და გაყალბებულ პარლამენტში პროცედურებით თამაშს უნდა მორჩეს.

როცა „ქართულმა ოცნებამ“ შოვის ტრაგედიის საგამოძიებო კომისიის შექმნაზე ოპოზიციას უარი უთხრა, მას შემდეგ როგორ დარჩნენ იმ პარლამენტში და როგორ აგრძელებენ კიდევ კაბინეტებში მუშაობას, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, გაუგებარია.

სერიოზულ დანაშაულს სიმბოლური იმპიჩმენტით კი არა, ქუჩაში გასვლითა და პროტესტით უნდა პასუხობდეს სერიოზული ოპოზიცია.

– მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, რევაზ ჯაველიძემ, პრემიერს სახელმწიფო ხარჯებით კერძო ვიზიტებზე არასდროს უმოგზაურიაო.

– აბა რას იტყვის ჯაველიძე?! ამიტომ არის საჭირო სამართლიანი მართლმსაჯულება. სამართლიანი სასამართლო სიტემა, მიუკერძოებელი პროკურატურა, რომ არავის მხრიდან არ დარჩეს კითხვები. ეს რომ შევქმნათ, ამ ხელისუფლების დემონტაჟი უნდა დავიწყოთ.

თუ არჩევნები არ ჩატრდება სამართლიანად, არაფერი გამოვა. ისევ „ოცნება“ მიიტაცებს ძალუფლებას და სამუდამოდ დარჩებიან. მხოლოდ რეალური არჩევნების შედეგად დაკომპლექტებულ კოალიციურ მთავრობას შეუძლია ამ უვარგისი სისტემის დემონტაჟი.

კი ბატონო, დავიჯერეთ, რომ ღარიბაშვილმა საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა თვითმფრინავით ვოიაჟის ფული, მაგრამ საიდან, როგორ?! ორი გზა არსებობს – ან ოჯახმა დაუფინანსა, პენსიონერმა მშობლებმა, რაც არასერიოზულია, ან ბიზნესმა დაუფინანსა, რაც ასევე დანაშაულებრივია, რადგან იმთავითვე კორუფციულ გარიგებასთან გვაქვს საქმე. ეს ყველაფერი რომ გამოვიძიოთ და სიმართლე დავადგინოთ, ხელისუფლების დემონტაჟი უნდა დავიწყოთ, მაგრამ არა სიმბოლური იმპიჩმენტით, არამედ არჩევნებში ივანიშვილის დამარცხებით.

გიორგი გახარია: „ბიძინა საქართველოს ევროპულ მომავალს უწყობს იმპიჩმენტს, მადლობა ბიძინას „მშვიდობისთვის“

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია, ოპოზიციის მიერ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყებას ეხმაურება და აცხადებს, რომ სინამდვილეში, ბიძინა საქართველოს ევროპულ მომავალს უწყობს იმპიჩმენტს.

– ოქტომბრის ბოლოს საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე შეფასებას ელოდება. ამასობაში, ხელისუფლებას პრეზიდენტის იმპიჩმენტი უნდა, ოპოზიცია პრემიერის იმპიჩმენტს ითხოვს. სინამდვილეში, ბიძინა საქართველოს ევროპულ მომავალს უწყობს იმპიჩმენტს. მადლობა ბიძინას „მშვიდობისთვის“, – წერს გახარია.

მისი პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში კი ვკითხულობთ, რომ „ოცნების“ ელიტური კორუფციის მორიგ მძიმე ფაქტს ეხმიანებიან და პროკურატურას მოუწოდებენ, პრემიერის მიერ ჩადენილი შესაძლო კორუფციული ფაქტი გამოიძიონ.

– მომხდარი კიდევ ერთი ნათელი დასტურია, რატომ თქვა უარი ხელისუფლებამ რეალურად დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ბიუროს შექმნაზე. ოცნებამ მოსპო ყველა არსებული ბერკეტი, რათა თავისუფლად გაეგრძელებინა კორუფციული საქმიანობა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პროცესში.

მოქმედი სისტემის პირობებში, კორუფციის გამოძიება პროკურატურის მანდატია. მივმართავთ საქართველოს პროკურატურას, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება პრემიერ-მინისტრის მიერ ჩადენილ შესაძლო კორუფციულ დანაშაულზე და საზოგადოებას უმოკლეს ვადაში მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია. გამოძიების დაწყებაზე უარი კიდევ ერთხელ იქნება აღქმული, როგორც ხელისუფლებისადმი მორჩილება და ოცნების ინტერესების გატარება, რაც კიდევ ერთხელ გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების სისტემას, რომლის დამოუკიდებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.

მომხდარს ობიექტური გამოძიებით დადასტურება-უარყოფა სჭირდება, რაც პროკურატურის კომპეტენციაა და არა მთავრობის ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების.

ასევე, ჩვენი გუნდი უახლოეს დღეებში პარლამენტში წარადგენს ინიციატივას, რომლითაც გაფართოვდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ნათესავების წრე, რომელთაც თავიანთი ქონების წარმომავლობის დასაბუთება მოუწევთ.

არსებული კანონმდებლობა საშუალებას აძლევს კორუფციაში ჩართულ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს, გადამალონ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება საკუთარ ნათესავებზე ქონების ფიქტიურად გადაფორმების გზით.

პარტია „საქართველოსთვის“ დღესაც და მომავალშიც გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს ელიტური/პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისთვის.

პასუხისმგებლობას ხალხის ფულის მოპარვისთვის ვერავინ გაექცევა. დღეს, ქმედითი სისტემის არარსებობის პირობებში, ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოასწროს და დააგროვოს, ხოლო ნაცმოძრაობა, ხელისუფლების მფარველობით, ცდილობს, მის კორუფციულ დანაშაულებზე პასუხისმგებლობას გაექცეს. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის ჩვენ მიერ დაწყებული პროცესი და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება უზრუნველყოფს, რომ კორუფციისთვის პასუხი ყველამ აგოს და დანაშაულებრივი გზით, როგორც ნაცმოძრაობის, ისე ოცნების მიერ მოპოვებული ქონება დაუბრუნდეს ხალხს, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

პრემიერი: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ არის პოლიტიკური საკითხი, ვცემთ რა პატივს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას, ვალდებული ვიყავით ფორმალური რეაგირება მოგვეხდინა“

ჯოზეფ ბორელთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფლებას იმპიჩმენტისთვის საკმარისი ხმების რაოდენობა არ აქვს.

– ასევე მინდა ვთქვა, თქვენც ახსენეთ ბატონო ბორელ, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. ეს არის წმინდა სამართლებრივი საკითხი. მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ჩვენ ვაშენებთ ძლიერ, ევროპული ტიპის დემოკრატიას, სამართლებრივ სახელმწიფოს, სადაც პირველ რიგში იცავენ და პატივს სცემენ კონსტიტუციას, როგორც მთავარ კანონს და ვინ, თუ არა პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტი, ზოგადად ხელისუფლება უნდა იყოს მაგალითის მიმცემი, როგორც კონსტიტუციის დაცვის, ასევე მისი პატივისცემის. შესაბამისად, ეს არ არის პოლიტიკური საკითხი. ეს არის წმინდა სამართლებრივი საკითხი, რაზეც ფორმალური რეაგირება გავაკეთეთ ჩვენ, მმართველმა პარტიამ და იქვე განვმარტეთ, იმის მიუხედავად, ვიცით, რომ საკმარისი ხმების რაოდენობა არ გვაქვს პარლამენტში, რომ ფორმალურად მოხდეს პრეზიდენტის იმპიჩმენტი, ჩვენ ვცემთ რა პატივს და ვიცავთ რა ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას, კანონებს, ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი სახელმწიფოს იმიჯს, ჩვენ ვიყავით ვალდებული და იძულებული, რომ ეს ფორმალური რეაგირება მოგვეხდინა. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას არავითარი კავშირი არ აქვს არც ამ პროცესთან, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ვგულისხმობ ევროინტეგრაციის პროცესს და ა.შ., – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მთავარი პრიორიტეტი არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ხალხისთვის.

– ახლა, მთავარი მინდა ვთქვა, ბატონო ჯოზეფ, ზოგადად, სამწუხაროდ, რასაც დავაკვირდით, ჩვენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ეს რეკომენდაციები განისაზღვრა, პოლარიზაცია არა თუ შემცირდა, არამედ პირიქით, მოიმატა, იმიტომ, რომ საქართველოში მოქმედი რადიკალური ძალები თავისი ბუნებით, თავისი გამოცდილებით, მე ვგულისხმობ წინა ხელისუფლების პარტიას, ყველაზე ანტიევროპული ძალები, ცდილობენ, საბოტაჟი მოუწყონ ამ პროცესს და სწორედ მათთვის არის ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, მთავარი სასპეკულაციო საგანი სწორედ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, ამას იყენებენ რადიკალური ძალები იმისთვის, რომ მოახდინონ დესტაბილიზაცია ქვეყანაში, რომ ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ამიტომ მე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება, მმართველი პარტია აბსოლუტურად მზად იყო, არის და იქნება მომავალშიც, რომ ვითანამშრომლოთ ყველა პოლიტიკურ ოპოზიციურ ძალასთან, მათ შორის, რომ საერთო ეროვნული იდეა განხორციელდეს და საქართველო კიდევ უფრო მეტად დაუკავშირდეს ევროკავშირს, რომ ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და, რა თქმა უნდა, ამავდროულად, ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ჩვენი ხალხისთვის, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს არის პოლიტიკური და არა მხოლოდ დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.

– მე ასე მარტივად არ დავაყენებდი საკითხს, როგორც ბატონმა ბორელმა განმარტა. ჩვენ გაცილებით სერიოზულ და რთულ მოცემულობაში ვიმყოფებით. ჩვენი მთავარი არგუმენტი, ბატონო ჯოზეფ, არის შემდეგი – ჩვენ ვითხოვთ სამართლიან მოპყრობას. შარშან მოლდოვამ და უკრაინამ მიიღეს ბონუსად სტატუსი, ავანსად, ისე, რომ მათ არ ჰქონდათ შესრულებული არცერთი რეკომენდაცია და ჩვენ არ მივიღეთ სტატუსი. კითხვა არის აბსოლუტურად ლოგიკური და სამართლიანი. ქართველებს ყველაზე მეტად რაც არ გვიყვარს, ეს არის უსამართლობა. ჩვენ უსამართლობას არ ვეგუებით. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის გადაწყვეტილება, რომელსაც თქვენ მიიღებთ სამართლიანი იყოს.

რაც შეეხება იმას, თუ რა გზავნილი იქნება, ასეთ ვითარებაში, როდესაც არავინ იცის, როდის და როგორ დასრულდება უკრაინაში ომი, როგორი წესრიგი ჩამოყალიბდება მსოფლიოში, ასეთ ვითარებაში, მთავარ არგუმენტს გავიმეორებ, მოლდოვასა და უკრაინას ავანსად მიეცით სტატუსი და ჩვენ არ მოგვეცით სტატუსი შარშან. ასეთ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, არაპროგნოზირებად გარემოში ნებისმიერი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, ნებისმიერი ნეგატიური გზავნილი, პოზიტიური გზავნილი იქნება რუსეთისთვის.

ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა შემდეგი – ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს პროცესი რთულია, ეს არის დამსახურებაზე დაფუძნებული დამოკიდებულება, მაგრამ ამავდროულად კარგად გვესმის, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, ეს არ არის მხოლოდ დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.

ასე რომ, მინდა კიდევ ერთხელ იმედი გამოვთქვა, რომ თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს პოლარიზაციის დასრულება ქვეყანაში, როგორც თქვენ ბრძანეთ, თუ თქვენ ნამდვილად გსურთ, რომ საქართველო ევროპული ოჯახის წევრი გახდეს, კიდევ უფრო დაახლოვდეს, მაშინ ჩვენი პოზიციაა შემდეგი, საქართველომ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი წლის ბოლოს, – განაცხადა პრემიერმა.

ჯოზეფ ბორელი: „იმპიჩმენტი დაძაბავს სიტუაციას“

მარიამ მჭედლიშვილი

„საქართველომ საკვანძო რეფორმები უნდა გაატაროს“

7-8 სექტემბერს საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჯოზეფ ბორელი. მისი ჩამოსვლა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ პირობებში, როცა საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სატუტუსის მოლოდინშია, რუსეთი კი ისევ ცდილობს გავლენის გაძლიერებას საქართველოში.

– საქართველომ უნდა გამოიყენოს დარჩენილი მოკლე პერიოდი, რათა შეასრულოს საჭირო საკვანძო რეფორმები, – განაცხადა მაღალი რანგის სტუმარმა ევროკავშირის თბილისის წარმომადგენლობაში.

მისი თქმით, ევროკავშირში გაწევრიანება არის ეროვნული ამოცანა და ყველა აქტორმა კონსოლიდირებულად უნდა იმუშაოს.

ბორელი იმყოფებოდა საოკუპაციო ხაზთანაც, ხურვალეთში. მან ყველას შეახსენა, რომ ადგილზე პატრულირებს ევროკავშირის 27 წევრი ქვეყანა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია კი 15 წელიწადია, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას.

პრემიერთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ჯოზეფ ბორელი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ დაწყებული იმპიჩმენტის პროცესსაც შეეხო და აღნიშნა, რომ იმპიჩმენტის წამოწყება არის რისკი, რაც უფრო დაძაბავს სიტუაციას ქვეყანაში და გაზრდის პოლარიზაციას,

– ყველა ინსტიტუტი ერთად უნდა მუშაობდეს და ძლიერად უნდა უჭერდეს მხარს ქვეყანას ევროპულ გზაზე, – განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა, თავის მხრივ, თქვა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი არა პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი თემაა და ხელისუფლება კონსტიტუციას იცავს.

• • •

„ჩემი იმედი გქონდეთ...“

საკონსტიტუციო სასამართლო, ალბათ, მალე დაადგენს, დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტუტუცია, როცა ევროპაში მთავრობის დასტურის გარეშე გაემგზავრა და გამართა მთელი რიგი შეხვედრები საქართველოს ევროპული მომავლის საკითხზე.

თუ სასამართლო დარღვევას დაადასტურებს, იმპიჩმენტის გამოცხადებას პარლამენტში 100 დეპუტატის ხმა ესაჭიროება. ამ რაოდენობის ხმები „ქართულ ოცნებას“ და მის მოკავშირეებს – „ხალხის ძალასა“ და „ევროპელ სოციალისტებს“ არა აქვთ. დანარჩენები იმპიჩმენტს არ ემხრობიან.

რისთვის დაიწყო უპერსპექტივო იმპიჩმენტი? ამაზე სხვადასხვა მოსაზრება გამოითქმის. კომენტატორების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ამ საკითხს მმართველი პარტია იყენებს რეალური პრობლემების გადასაფარად, ანტიდასავლური თემატიკის გასაძლიერებლად, ევროპერსპექტივის ჩასაშლელად, ასევე, პირადად სალომე ზურაბიშვილთან საბრძოლველად, რომელიც მომავალში შეიძლება სერიოზული პოლიტიკური ძალის ლიდერად იქცეს.

სხვათა შორის, პრეზიდენტს ევროპაში ბორელის ვიზიტამდე წარმატებული შეხვედრები ჰქონდა.

იმპიჩმენტზე წინა კვირაში პოზიცია გამოხატა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი მსხილაძემ.

მისი განცხადებით, იმპიჩმენტი შეიძლება ემსახურებოდეს პრეზიდენტის აქტივობის შეზღუდვას ან მის პოლიტიკურ შევიწროებას.

– საქართველოს პრეზიდენტი ასრულებს თავის უმაღლეს ვალდებულებას და ეს არის ხალხის ნება. პრეზიდენტი ასრულებს იმ საარჩევნო დაპირებას, რომლის ქვაკუთხედიც იყო ქვეყნის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია. პრეზიდენტი ასრულებს იმ ვალდებულებას, რომლითაც ყველა ზომა უნდა მიიღოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისთვის, – აღნიშნა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ პრეზიდენტს მხოლოდ მთავრობასთან თანხმობით შეუძლია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება. ამდენად, როცა სალომე ზურაბიშვილი ევროპაში თვითნებურად წავიდა, მან დაარღვია კონსტიტუცია. კობახიძემ პრეზიდენტი და ნაცმოძრაობა (რადიკალური ოპოზიცია) მონათესავე ძალებად კიდევ ერთხელ მონათლა.

– სალომე ზურაბიშვილსა და რადიკალურ ოპოზიციას ერთი და იგივე დღის წესრიგი აქვთ. მათი რიტორიკა ერთიერთში ემთხვევა ერთმანეთს. ისინი ერთნაირი ინტერესებით მოქმედებენ. მათ საერთო პატრონი ჰყავთ. ეს არის „გლობალური ომის პარტია“. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოს არ მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი. თუ მაინც მიენიჭება კანდიდატის სტატუსი, სალომე ზურაბიშვილი მაქსიმალურად ეცდება, თავის თავზე მიიწეროს ეს გადაწყვეტილება, – თქვა მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ბორელის ვიზიტამდე ორი დღით ადრე.

ევროპიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა საზოგადოებას მიმართა. მას ხალხის მხარდაჭერის იმედი აქვს. სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის ინტერესების დასაცავად სხვა სახელმწიფოებში ჩასვლასაც გეგმავს.

– მაქვს გეგმა შემდეგი ქვეყნების, სადაც უნდა ჩავიდე, რათა იქ მივიტანო თქვენი სურვილი, თქვენი ოცნება, თქვენი მომავლის დაცვა, – განაცხადა მიმართვაში პრეზიდენტმა.

მისი სიტყვებით, „საქართველო რუსეთის ფეხქვეშ არ დადგება“.

– ეს არის ის, რაც ერთად გვაქვს დასაცავი. თქვენი იმედი მაქვს და თქვენ ჩემი იმედი გქონდეთ, – მიმართა საზოგადოებას პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა მისი გადადგომის მოსურნეები გააწბილა:

– ჩემს გადადგომაზე ოცნება ყველამ უნდა დაივიწყოს. მე ყველგან ვივლი, სადაც წასასვლელი ვარ, იმიტომ, რომ ეს არის ჩემი კონსტუტუციური ვალდებულება.

• • •

სააკაშვილის მორიგი მიმართვა, გამოხმაურებები და ნაცმოში მიმდინარე პროცესები

– ყველა, ვინც დაადგება ბოკერიას გზას, განულდება, დაამთავრებს, როგორც ბოკერია, – მიმართა „ვივამედიდან“ თანაპარტიელებს ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა.

მან თავის მორიგ წერილში პარტიის ერთიანობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. ამასთან, მას არ დაუკონკრეტებია, ვის უწინასწარმეტყველებს ბოკერიას („ევროპული საქართველოს“) ბედს.

ცნობილია, რომ პარტიაში დიდი ხანია ერთმანეთს უპირისპირდებიან ლევან ხაბეიშვილისა და ნიკა მელიას გუნდები. არსებობს ვარაუდი, რომ მალე მელია თავის გუნდთან ერთად დატოვებს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.

– სააკაშვილი არ ამბობს, რომელი ჯგუფია მართალი, რომელი ჯგუფის მხარესაა სიმართლე. მისთვის მთავარია, ნებისმიერმა ჯგუფმა აღიაროს, რომ ის (სააკაშვილი) არის უპირობო ლიდერი. ამასწინათ გიგი უგულავამ თქვა, რომ ნაცმოძრაობის რეალური თავმჯდომარე არის მიხეილ სააკაშვილი. ყველამ იცის, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილმაც, რომ ხაბეიშვილი არ არის ის ფიგურა, რომელიც რაიმე პლუსის მომტანი იქნება, – ასე გამოეხმაურა სააკაშვილის წერილს „ევროპული საქართველოს“ გენმდივანი აკაკი ბობოხიძე.

• • •

მელიამ სტრასბურგში საქმე წააგო

ნიკა მელიას სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში, რომელსაც „ნიკა მელია საქართველოს წინააღმდეგ“ ეწოდება, საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.

ადამიანის უფლებათა ევრპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2021 წელს მელიას დაკავება და მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება კანონიერი იყო. შეგახსენებთ, რომ ნიკა მელიას დაკავების გამო პრემიერობიდან გადადგა გიორგი გახარია. ცოტა ხანში მან პოლიტიკური პარტია შექმნა და „მესამე ძალის“ სახელით პოზიციონირება დაიწყო. ამ დღეებში გახარიას მიმართ ირონიული და ღვარძლიანი შეფასებები ისმოდა.

– სტრასბურგის გადაწყვეტილება არა მხოლოდ ნიკა მელიას პოლიტიკური კრახია, უმეტესად, ეს არის მელიასთვის გადამდგარი გახარიას პოლიტიკური აღსასრული, – მიაჩნია „ხალხის ძალის“ წევრს, ზურაბ ქადაგიძეს.

ქადაგიძე გახარიას ლუზერსა და მოღალატეს უწოდებს.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი აკრიტიკებს დასავლელ პარტნიორებს, რომლიც მაშინ მელიას ესარჩლებოდნენ და მისთვის ევროკავშირმა გირაოც გადაიხადა.

– სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი ჩვენი პარტნიორის მკაცრი კრიტიკა მელიას დაკავების გამო ნაჩქარევი და არაშორსმჭვრეტელური იყო, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

• • •

„რეჟიმი აგრძელებს ორგანიზებულ ძალადობას“

გასულ კვირაში გრძელდებოდა გამოხმაურებები ჩოხატაურში მომხდარ დაპირისპირებაზე მმართველ პარტიასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის. შსს ატარებს გამოძიებას ჩოხატაურში მომხდარი ჯგუფური ძალადობის ფაქტზე. კერძოდ, ბუკლეტების დამრიგებელ ადგილობრივ ნაციონალებს თავს დაესხნენ. ბუკლეტებში ნათქვამია, რომ იყიდება ნოდარ დუმბაძის სახელობის სკვერი.

ნაცმოძრაობის ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ და ადგილობრივმა ოლიგარქმა ვასილ ჩიგოგიძემ მოაწყვეს ორგანიზებილი თავდასხმა ადგლობრივ ლიდერებზე, თათია ნიკოლაშვილზე, დავით მჟავანაძესა და არჩილ სიხარულიძეზე.

ნაციონალური მოძრაობის შეფასებით, „ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი აგრძელებს და აძლიერებს ორგანიზებულ ძალადობას მთავარი ოპოზიციური პარტიის მიმართ“.

– საქართველოს საუკეთესო დღეები წინ არის და ნებისმიერი სახის ძალადობა და ესკალაცია მხოლოდ და მხოლოდ მოაახლოებს ცვლილებებს, – განაცხადა ნაციონალურმა მოძრაობამ.

სკვერის გაყიდვის განზრახვა უარყო ჩოხატაურის მერმა დავით შარაშიძემ.

მისი განმარტებით, სკვერს რესტავრაცია უტარდება.

• • •

პუტინიზმი და საქართველო

გასულ კვირაში თბილისში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც მაკეინისა და ბუშის ინსტიტუტები და სხვა ორგანიზაციები აწყობენ. წელს კონფერენციას „პუტინის დამარცხება“ დაარქვეს.

შარშანდელის მსგავსად, კონფერენციას, მიწვევის მიუხედავად, ბოიკოტი გამოუცხადეს „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებმა. მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა თავისი არმონაწილეობა იმით ახსნეს, რომ ამ ფორუმზე თავი მოიყარეს სააკაშვილის ლობისტებმა და იმ პირებმა, რომლებიც საქართველოში რევოლუციას ამზადებენ.

– საქართველოსთვის მთავარი პრობლემა ვლადიმირ პუტინი და პუტინიზმია, – განაცხადა მაკეინის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ეველინ ფარკასმა.

მისი თქმით, საქართველო 15 წელიწადია ოკუპირებულია, რუსეთთან ომი დამთავრებული არ არის, ომი გრძელდება პოლიტიკური მანიპულაციებითა და იმ ადამიანების გამოყენებით, რომლებსაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა.

კონფერენციის მონაწილეებმა კატეგორიულად უარყვეს მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, თითქოს ვინმე საქართველოს ომში ითრევს და ამას რუსეთიდან წამოსული ტყუილი უწოდეს. ბევრმა მათგანმა მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც იმპიჩმენტით ემუქრებიან.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენმა პარტნიორებმა ხმამაღლა და ღიად თქვეს, რომ საქართველო სრულად ასრულებს ვალდებულებებს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს ჯოზეფ ბორელს შეხვდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე და ევროკავშირთან არსებულ პარტნიორობაზე, მაღალი შეფასება მიეცა უმაღლესი წარმომადგენლის ვიზიტს, როგორც მხარდაჭერისა და პარტნიორობის მორიგ დადასტურებას.

მხარეებმა განიხილეს საქართველოს მხრიდან ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე შემდგომი პროგრესისა და კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად გადადგმული ნაბიჯები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესს. აღინიშნა ის ძალისხმევა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გასწია რეკომენდაციების შესრულებისთვის ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველსაყოფად, რომლის შედეგადაც რეკომენდაციების შესრულება დასკვნით ფაზაშია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ქვეყნის განვითარებისა და რეფორმების პროცესის გაგრძელების მიმართ საქართველოს მთავრობის მტკიცე ნებას.

მთავრობის მეთაურთან ორმხრივ ფორმატში გამართულ შეხვედრაზე ჯოზეფ ბორელმა დაადასტურა ევროკავშირის ერთგულება, მხარი დაუჭიროს საქართველოს წინსვლას ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

გამოითქვა იმედი, რომ ევროკავშირის მხრიდან სათანადოდ დაფასდება საქართველოს ძალისხმევა და კანდიდატის სტატუსის მინიჭებით გადაიდგმება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

ქართულმა მხარემ უმაღლეს წარმომადგენელს გაუზიარა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე და საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაზე, ასევე მაღალი შეფასება მიეცა ადგილზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობას.

– თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა დეზინფორმაციული კამპანია მთელ მსოფლიოში, რომ თითქოს საქართველო არღვევს სანქციებს და ჩვენმა პარტნიორებმა ხმამაღლა და ღიად თქვეს, რომ საქართველო სრულად ასრულებს ამ ვალდებულებებს და სანქციების დარღვევის არცერთი მაგალითი არ დაფიქსირებულა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჯოზეფ ბორელთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ამ სიცრუის მიზანი ქვეყნის დისკრედიტაცია.

– სანქციების თაობაზე მინდა შეგახსენოთ, მე როცა ვთქვი, რომ ეს იყო კლასიკური დეზინფორმაციული მაგალითი, სანქციებზე, ბატონო

ბორელ, მინდა გითხრათ, რომ თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ორკესტრირებული დეზინფორმაციული კამპანია.

რეალობა აღმოჩნდა შემდეგი, რომ, როცა თქვენი წარმომადგენელი ჩამოვიდა საქართველოში, ასევე ამერიკის სანქციების მთავარი წარმომადგენელი და ასევე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, მათ ხმამაღლა და ღიად თქვეს, რომ საქართველო სრულად ასრულებს ამ ვალდებულებებს და რომ სანქციების დარღვევის არცერთი მაგალითი არ დაფიქსირებულა. ეს არის მაგალითი სიცრუესა და სიმართლეს შორის. სიცრუეს, რა თქმა უნდა, აქვს თავისი მიზანი, მიზანი არის ქვეყნის დისკრედიტაცია. მაგრ მიზანი არის ის, რომ ქვეყანამ არ მიიღოს სტატუსი, მაგრამ ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ქვეყანა კიდევ უფრო მეტად დავაახლოოთ ევროკავშირს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ქვეყანა ძლიერდება, ვითარდება, მდიდრდება და მისი, როგორც მთავრობის მეთაურის პირდაპირი ვალდებულებაა, დაიცვას და გააძლიეროს ქვეყანა.

– ფრენებზე მინდა ვთქვა კიდევ ერთხელ. თქვენ ახსენეთ და მინდა გამოვეხმაურო. რაც შეეხება ფრენებს, ჩვენ ამის თაობაზე მკაფიოდ განვმარტეთ, რომ არცერთი სანქცირებული ავიაკომპანია და არცერთი სანქცირებული თვითმფრინავი არ იფრენს და არ დაფრინავს საქართველოში. აქაც ჩვენ ვიცავთ დისციპლინას და აბსოლუტურად სუფთად და გამჭვირვალედ ვმუშაობთ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ბოლო სამი წელია იზრდება ძალიან სწრაფად. ჩვენ გვაქვს დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა. ბოლო 2 წელი გვქონდა 10% იანი ეკონომიკური ზრდა, ახლა ჩვენ გვაქვს 7% ზე მეტი. ინფლაცია არის დარეგულირებული, 0,9% არის ინფლაცია. უმუშევრობა, სიღარიბე არის ისტორიულ მინიმუმზე, ქვეყნის რეზერვები არის ისტორიულ მაქსიმუმზე, ქვეყანა ძლიერდება, ვითარდება, მდიდრდება. ეს არის ჩვენი პირდაპირი ვალდებულება, ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის, რომ ქვეყანა დავიცვათ და გავაძლიეროთ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

ვენების ვარიკოზული გაგანიერება

ამ დაავადებას იწვევს საკვებში დიდი რაოდენობით სახამებლისა და შაქრის შემცველი პროდუქტების გამოყენება. ისინი ილექებიან სისხლძარღვთა კედლებზე და იწვევენ დაავადებას.

1. 3 ცალი ვაშლი („ანტონოვკა“) გარეცხეთ, დაჭერით, მოათავსეთ მინანქრის ქვაბში, დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი. თბილად შეფუთეთ და 3 საათი გააჩერეთ. ვაშლი დაჭყლიტეთ და მიღებული მასა გაწურეთ.

მიღება: ყოველდღე 50-50 გრამი უზმოზე და ძილის წინ. კურსი 2 კვირა.

❖ ❖ ❖

– შეურიეთ ერთმანეთს აბზინდა (დაფშვნილი) და მაწონი. წაუსვით მარლას და შეიხვიეთ ფეხი. 30 წუთით ფეხი შემოდეთ ბალიშზე.

❖ ❖ ❖

– დაჭერით მწიფე პამიდორი და დაიწყეთ წვივებზე და გააჩერეთ მანამდე, სანამ წიწკვნას არ შეიგრძნობთ.

❖ ❖ ❖

– 1 სუფრის კოვზ დაფქვილ სვიის გირჩებს დაასხით 200 გრამი მდუღარე წყალი და გააცხელეთ 15 წუთის განმავლობაში წყლიან აბაზანაში. მიიღეთ ნახარში თითო ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ. ფეხი შეიხვიეთ სვიის ნახარშში დასველებული მარლით.

❖ ❖ ❖

– აიღეთ 10 გრამი ცხენისწაბლის ყვავილები ან ნაყოფი. წინასწარ გაათავისუფლეთ ეკლიანი გარსისგან. დააქუცმაცეთ, დაამატეთ 100 მლ არაყი და დააყენეთ მინის ჭურჭელში 7-10 დღის განმავლობაში ბნელ ადგილას, პერიოდულად შეანჯღრიეთ. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ 30 წვეთი მცირე რაოდენობის წყალთან ერთად ჭამამდე 20-30 წუთით ადრე. ეს შესანიშნავი საშუალებაა ვენების ვარიკოზული გაგანიერებისა და თრომბოფლებიტის დროს.

❖ ❖ ❖

გავრეცხოთ კალანჰოეს ფოთლები, შევაშროთ, დავაქუცმაცოთ. ნახევრამდე გავავსოთ ნახევარლიტრიანი ბოთლი. შევავსოთ არყით და დავდგათ ბნელ ადგილას. დროდადრო შევანჯღრიოთ. ერთი თვის შემდეგ ნაყენი გავფილტროთ. მიღებული სითხით დავიზილოთ ფეხები ქვემოდან ზემოთ. პროცედურა გავიმეოროთ ყოველდღე 2-4 თვის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

– მწვანე წენგოიანი კაკალი ჩაყარეთ ზეითუნის ზეთში. ჭურჭელი მოათავსეთ 40 დღით მზეზე, რის შემდეგაც დაიზილეთ დაავადებული ადგილები.

❖ ❖ ❖

ვაშლის ძმარი უნდა წაისვათ მთელ სიგანეზე ყველა დაზიანებულ ადგილზე დილით და საღამოს. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ აღინიშნება ვარიკოზული ვენების შევიწროება. ამასთან, დღეში ორჯერ იღებენ ერთ ჭიქა წყალში გაზავებულ ორ ჩაის კოვზ ვაშლის ძმარს.

❖ ❖ ❖

– შეურიეთ თანაბარი მოცულობის მუხის ქერქის და ცხენისწაბლის ფხვნილები. ნარევის 2 სადილის კოვზი ფხვნილი და 5 სადილის კოვზი თიხა გახსენით თბილი წყლით სქელი არაჟნის კონსისტენციამდე. ამ ფაფის თხელი ფენა წაისვით დაავადებულ ადგილებზე, დაიფარეთ ნესტიანი ჩვარი, მოიხვიეთ მშრალი პირსაწმენდი და დაიტოვეთ მთელი ღამე. დილით ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

❖ ❖ ❖

– 250 გრამი ნივრის ფაფას გულმოდგინედ შეურიეთ 350 გრამი თხევადი თაფლი, გააჩერეთ ბნელ, გრილ ადგილზე ერთი კვირა, პერიოდულად მოურიეთ შიგთავსს. მიიღეთ თითო სადილის კოვზი სამჯერ დღეში ჭამამდე 40 წუთით ადრე 1-2 თვის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

– აიღეთ 30 გრამი ცხენისწაბლის ნაყოფის ფხვნილი, 20 გრამი გამხმარი, დაქუცმაცებული კრაზანას ყვავილი, დაასხით 0,5 ლიტრი მცენარეული ზეთი და 200 გრამი მშრალი ღვინო, გააჩერეთ მდუღარე წყლის აბაზანაზე ღვინის ამოორთქლებამდე, გაწურეთ და იხმარეთ გარეგან საშუალებად კომპრესის სახით.

❖ ❖ ❖

– 20 გრამ გამხმარ, დაქუცმაცებულ კოთხუჭის ფესვებს დაასხით 0,5 ლიტრი სახლში დამზადებული ვაშლის ღვინო, გააჩერეთ ბნელ, გრილ ადგილას ორი კვირა, გაწურეთ, დალიეთ 2 სადილის კოვზი დღეში სამჯერ ჭამამდე 30 წუთით ადრე.

❖ ❖ ❖

– 50 გრამ წმინდად დაფქვილ კალენდულას ყვავილს შეურიეთ 200 გრამი გამდნარი ღორის მუცლის ქონი, დადგით მდუღარე წყლის აბაზანაზე, მუდმივად ურიეთ ხის კოვზით, მიიყვანეთ ერთგვაროვან მასამდე. შეინახეთ მაცივარში. მალამო წაისვით სქელ ფენად და დაიფარეთ ქსოვილით ან მსუბუქი ნახვევით.

❖ ❖ ❖

ქალებს, რომლებიც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებით სარგებლობენ, ხანდახან უჩნდებათ ტრომბების წარმოქმნის ტენდენცია. ამას ამცირებს 15-30 წვეთი (დღის ულუფა) ძიძოს არაყზე ნაყენი – 50 გრამ გამხმარ დაქუცმაცებულ ბალახს დაასხით 0,5 ლიტრი არაყი, გააჩერეთ ბნელ ადგილას 2 კვირით, პერიოდულად შეანჯღრიეთ.

❖ ❖ ❖

აიღეთ გვირილა ახალი ყვავილებით, გაავსეთ ბოთლი, დაასხით მცენარეული ზეთი, დააყენეთ 40 დღე, პერიოდულად შემადგენლობა შეანჯღრიეთ, გაწურეთ, ნარჩენი გამოწურეთ. ზეთი აკურატულად შეიზილეთ სხეულის ვენების ვარიკოზული გაგანიერების უბნებში. ღამით სასარგებლოა ამ ზეთითვე კომპრესების გაკეთება.

❖ ❖ ❖

– დღეში 2-3-ჯერ დაზიანებულ ვენებზე წაისვით საკუთარი ახალი შარდი, ღამით კი გაიკეთეთ შარდის კომპრესი. დილით ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

❖ ❖ ❖

– 100 გრამი დაქუცმაცებულ, გამხმარ ტეგანის ბალახს დაასხით 0,5 ლიტრი არაყი, 10 დღე გააჩერეთ ბნელ ადგილას, შიგთავსი პერიოდულად შეანჯღრიეთ, გაწურეთ, ნარჩენი გამოწურეთ, 10 წვეთი ჩააწვეთეთ სადილის კოვზ წყალში და დალიეთ დღეში სამჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. ნაყენი აკრძალულია ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისთვის.

❖ ❖ ❖

– სელის ქსოვილზე წავუსვათ თაფლის ფენა და დავიდოთ ვენების ვარიკოზული გაგანიერების ადგილზე. ზემოდან დავაფაროთ მკვრივი ქსოვილი, დავამაგროთ დოლბანდით. პირველ დღეს კომპრესი დავიტოვოთ 2 საათი, მეორე და მესამე დღეს კი – 4 საათი, შემდეგ კი მთელი ღამე გაიჩერეთ.

❖ ❖ ❖

– კომბოსტოს ფოთოლი ოდნავ დაჩეჩქვეთ საბრტყელებლით, ფოთლის ერთ მხარეს წაუსვით ზეთი და ამ მხრით დაიდეთ სხეულის იმ ნაწილზე, რომელიც ტრომბოფლებიტითაა დაზიანებული, დაიმაგრეთ ბინტით, გაიჩერეთ ერთი დღე-ღამე. მკურნალობის კურსი ერთი თვეა.

❖ ❖ ❖

– 100 გრამ გამხმარ თეთრი აკაციის ყვავილებს დაასხით 0,5 ლიტრი არაყი, დააყენეთ ბნელ ადგილას ორი კვირა, პერიოდულად შეანჯღრიეთ, გაწურეთ, ნარჩენი გამოწურეთ. ამ ნაყენით გაიკეთეთ კომპრესი, შეიზილეთ მტკივან ადგილებში.

❖ ❖ ❖

– 50 გრამ დაფქულ (უკანოდ) ცხენისწაბლის ნაყოფს დაასხით 250 გრამი მცენარეული ზეთი, გულმოდგინედ მოურიეთ. საღამოობით მტკივან ადგილებზე გაიკეთეთ ამ ნაყენით მასაჟი, გაიმეორეთ პროცედურა მრავალჯერ 1-2 დღის შესვენებებით.

❖ ❖ ❖

აიღეთ 0,5 ქილა, ნახევრად გაავსეთ კალანჰოეს დაჭრილი ფოთლებით, დაამატეთ 40%-იანი სპირტი. გაავსეთ ქილა, სიბნელეში გააჩერეთ 7 დღის განმალობაში. პერიოდულად შეანჯღრიეთ, შემდეგ გაწურეთ და ამით დაიზილეთ ფეხები ღამით. ნაყენი შეიზილეთ ქვევიდან ზევით თითების მოძრაობით. ასე იხმარება კალანჰოე 4 თვის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

– აიღეთ თხილის ფოთლების ან ქერქის დაქუცმაცებული ნედლეულის 1 სუფრის კოვზი, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე. დალიეთ 1/3-1/4 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე.

❖ ❖ ❖

აიღეთ ფარსმანდუკი (ბალახი) 50 გრამი, ნეგო (ყვავილი) – 100 გრამი დაქუცმაცებული ნარევის სავსე სუფრის კოვზს დაასხით 300 მლ მდუღარე, ადუღეთ 5 წუთი, თბილ ადგილზე დააყოვნეთ 4 საათი. მიიღეთ თბილი სახით 0,5 ჭიქა სამჯერ დღეში 15-20 წუთით ადრე ჭამამდე.



❖ ❖ ❖

– სამკურნალო ბალახების გარდა, შეიძლება გაფართოებული ვენების სამკურნალოდ გამოიყენოთ კარგად მოწეული პამიდორი. დაჭერით იგი და დაიდეთ გაფართოებულ ვენებზე, 3-4 საათის შემდეგ ისინი ახლით შეცვალეთ.

ვაშლის წვენი სასარგებლოა

ვაშლს უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს, მათ ვისაც თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტში კენჭები აქვთ, შეუძლიათ სწორედ ამ ხილის საშუალებით განიკურნონ.

რეცეპტი ასეთია: დილის 8 საათზე უნდა მიირთვათ ერთი, ათ საათზე კი ორი ჭიქა ვაშლის წვენი, ნახევარი საათის შემდეგ კი დალიეთ ნახევარი ჭიქა ზეითუნის ზეთი.

ვაშლის წვენი აუცილებლად ახლადგამოწურული უნდა იყოს. მესამე დღეს, დილის 8 საათზე უნდა დალიოთ 2 ჭიქა ვაშლის წვენი, ნახევარი საათის შემდეგ კი ნახევარი ჭიქა ზეითუნის ზეთი, რომელსაც მაშინვე მიაყოლებთ კიდევ ერთ ჭიქა წყალში გაზავებული ვაშლის წვენს. ერთი-ორი საათის შემდეგ დაიწყება შარდთან ერთად ქვებისა და წვრილი კენჭების გამოყოფა.

ზოგჯერ კენჭები იშლება და შარდს მოჰყვება მომწვანო სითხის სახით, ამ დროს კარგია თბილი აბაზანის მიღება, წამოწოლა. რამდენიმე კვირის შემდეგ, შეგიძლიათ პროცედურა გაიმეოროთ. ჩატარებული მკურნალობის შემდეგ, მოგეხსენებათ ტკივილი თირკმელების, შარდის ბუშტის, ნაღლის ბუშტისა და ღვიძლის არეში. ორგანოები მთელი დატვირთვით ამუშავდებიან და შესაბამისად ორგანიზმის სხვა ორგანოებსაც აიძულებენ, რომ გააქტიურდნენ. მაგრამ გახსოვდეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კენჭებისაგან გათავისუფლებისთანავე ყველაფრის ჭამა შეგიძლიათ. რამდენიმე კვირის განმავლობაში თავი უნდა შეიკავოთ შემწვარი, მარილიანი, ცხარე და მწარე საკვებისაგან, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ზომიერი დიეტის დაცვა ყოველთვის საჭიროა.

საზოგადოება

ეროვნულ არქივში დაცული კინოფირები ხანძარმა იმსხვერპლა

საქართველოს ეროვნულ არქივში გაჩენილმა ხანძარმა იქ დაცული კინოფირები შეიწირა.

– საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიაზე არსებულ ცალკე მდგომ შენობაში ხანძარი გაჩნდა. შენობაში ინახებოდა ნიტროფუძიანი კინოფირები. ყველა ფირის ასლი კინოარქივში ინახება. ცეცხლი ეროვნული არქივის სხვა შენობებზე არ გავრცელებულა. ამ დროისთვის ხანძარი ლოკალიზებულია. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, – ნათქვამია ეროვნული არქივის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

დავით ხვადაგიანი, მკვლევარი:

– ეს განცხადება უშვერი გინებით უნდა იწყებოდეს, მაგრამ აზრი აღარ აქვს. უბრალოდ, მინდა იცოდეთ, რომ ჩვენს საარქივო თუ საბიბლიოთეკო ფონდებში გაცილებით დიდი შანსია, ხანძარი გაჩნდეს, წყალი ჩავიდეს და ჭერი ჩამოიქცეს, ვიდრე ხანძარი არ გაჩნდეს, წყალი არ ჩავიდეს და ჭერი არ ჩამოიქცეს.

წინასწარ უნდა იცოდეთ, რომ კომპარტიის უზარმაზარი არქივი, რომელშიც მთელი საბჭოთა წარსულის ამსახველი და დღემდე უცნობი მასალა არის თავმოყრილი, მუხიანში სილქნეტის შენობის მეხუთე სართულზეა შეიზნული და ქვედა სართულებზე უამრავი კაბელი, საფერფლე, „კურილკა“ და ათასი უბედურებაა, ეზოში გაუვალი ტყე-ღრე და ჯუნგლები.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (კგბ) არქივი, რომლის ხსენებაც განმარტებასაც არ საჭიროებს, სულელიც კი მიხვდება, რა მასალებზეა საუბარი, პოლიციის აკადემიის ეზოში ყოფილ სამრეცხაოს ქოხშია მიგდებული, რომლის გვერდით საცეცხლე მომზადების ცენტრი თუ სასროლეთია და ყოველ წუთს ბათქაბუთქი ისმის.

საქართველოს საარქივო დაწესებულებები ყველაზე გასიებული და გაზულუქებული უწყებების, იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია და ამ დამპალმა სისტემამ, რომელიც ათას სისულელეში ფლანგავს მილიონებს, დღემდე ორი ორ-სართულიანი თანამედროვე სტანდარტების შენობის ასაშენებლად ვერ გაიმეტა სახსრები, რომ მთელი ჩვენი ეროვნული მეხსიერება ცეცხლის ალს არ იყოს მიშვერილი, პირდაპირი მნიშვნელობით.

ეროვნული არქივის, ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდები ლამის საუკუნის ან მეტი ხნის შენობებშია და მათი უსაფრთხოების დონე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, შედეგი აგერ სახეზეა.

მიუხედავად „დამაიმედებელი“ განცხადებისა, კაცმა არ იცის ჯერ, რა ზარალთან გვაქვს საქმე, მაგრამ რა მდგომარეობაშიც საქართველოს საარქივო სივრცეებია, დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის სახელმწიფოს მიერ დაშვებული დანაშაულებრივი გულგრილობისა და შეთქმულების ფაქტი, რომელიც მიზანმიმართულად სპობს ყოველგვარ საგანმანათლებლო რესურსს და ახლაც, რა თქმა უნდა, უტიფრად იტყვიან, ისე, როგორც შოვის კატასტროფის დროს, რომ ხანძარი გაჩნდა, ძმაო, ჩვენ რა შუაში ვართ.

ირაკლი ხვადაგიანი, მკვლევარი:

– სანამ ზუსტად გავარკვევთ, უშუალოდ რა მასშტაბის ზარალი მიადგა ჩვენს აუდიოვიზუალურ მემკვიდრეობას ეროვნული არქივის კინოსაცავში ხანძრისას, მოკლედ:

1. ნიტრატისფუძიანი ფირების საცავის ხანძრისას, შესაძლებელი იყო ერთიანი ძლიერი აფეთქება, რომელსაც შეეძლო მიმდებარე კორპუსები დაეზიანებინა.

2. საათების განმავლობაში გამოიტყორცნა უზარმაზარი მოცულობის ტოქსიკური ნამწვავი აირი, რომელიც მოეფინა ირგვლივ მთელ კვარტალს ქარის მიმართულებით.

არავის გაუფრთხილებია და არ უზრუნია ირგვლივ მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. რამდენიმე საათი დავდიოდთ ირგვლივ და ვხედავდით ამ კვამლში გახვეულ კვარტალს.

ეს ქვეყანა არაა – ესაა ბოსელი!

ბუბა კუდავა, ისტორიკოსი:

– ქვეყანაში უზარმაზარი დისბალანსია – ერთი მხრივ, იმ სიმდიდრეს, რაც ჩვენს არქივებსა და სიძველეთსაცავებში ინახება და მეორე მხრივ, შესაძლებლობებს, ცოდნას, დაფინანსებას, ტექნოლოგიებს, ინფრასტრუქტურასა და სახელმწიფო მზრუნველობას შორის.

არ ვიცი დეტალები – რა მოხდა ეროვნული არქივის კონკრეტულ საცავში, რა მდგომარეობა იყო, რა ინახებოდა, რა განადგურდა, რამდენად ფასეული, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ მსგავსი დაწესებულებების თანამედროვე სტანდარტებით დაცვა და განვითარება არ გახლავთ ამ ქვეყნის პრიორიტეტი.

ესპანეთთან მარცხზე მოვთქვამთ, რომელთანაც მომავალში რევანშის არაერთი შესაძლებლობა მოგვეცემა და აქ კი აუნაზღაურებელ ზიანს შორიდან გულგრილად ვუცქერთ. ეს თუ ეროვნულ არქივს დაემართა თბილისის ცენტრში, სხვებთან შედარებით გაცილებით მეტი დაფინანსების მქონე დაწესებულებას, წარმოიდგინეთ ხვალ-ზეგ სხვაგან რა უბედურება შეიძლება დაგვატყდეს.

ბევრგან რომ მხოლოდ ზემოთ ღვთისა და ქვემოთ ცალკეული ენთუზიასტების იმედად ვართ, ეს კარგად უწყიან საქმეში ჩახედულმა სპეციალისტებმა.

და რამდენია ასეთი ადგილი ქვეყანაში, წარმოიდგინეთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რა გზავნილები ჩამოუტანა ბლინკენმა ზელენსკის

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა უკრაინა მოინახულა. მის ჩამოსვლას რუსების მიერ დაბომბვების გაძლიერება მოჰყვა. დაიბომბა კიევი, ოდესა, ზაპოროჟიე, კრივოი როგი. უკრაინელთა პასუხმა არ დააყოვნა. მათ ისევ დაბომბეს მოსკოვი, მოსკოვის ოლქი, უშუალოდ ქალაქები ბრიანსკი, ბელგოროდი, კურსკი. ამრიგად, უკრაინასთან ერთად რუსეთიც ცეხლში გაეხვია. ომმა ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო.

ყოველივე ამან განაპირობა კიდეც დახმარების ის პაკეტი, რომელიც კიევში ჩამოიტანა ბლინკენმა. ის 1 მილიარდი დოლარის ღირებულებისაა. ამავე დროს ბლინკენმა უკრაინის პრეზიდენტს პირდაპირ განუცხადა, რომ დღეს უკრაინის ყოფნა-არყოფნის პრობლემა წყდება, ქვეყანაში კი კვლავ უმწვავესად დგას როგორც კორუფციის, ისე რუსეთის აგენტურის საკითხი. ეს ორი პრობლემა ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. ბლინკენმა დაასახელა გვარებიც კონკრეტული ადამიანებისა, ვინც უკრაინაში კორუფციას განაგებს და რუსული გავლენის გატარებასაც ხელს უწყობს. ამერიკელი განსაკუთრებით ორ პიროვნებაზე შეჩერდა. ესენია ოლიგარქი იგორ კოლომოისკი და ზელენსკის ოფისის თავკაცი ანდრეი ერმაკი.

კოლომოისკის სახელი ფართოდაა ცობილი როგორც უკრაინაში, ისე მთელ მსოფლიოში. თავის დროზე ამ კაცმა გადაარჩინა რუსი ოკუპანტებისაგან დნეპროპეტროვსკი. სწორედ კოლომოისკიმ გადასცა მემარჯვენე სექტორს ფული თანამეროვე სამხედრო ტექნიკის შესაძენად. შედეგად, უკრაინელმა ნაციონალისტებმა მოხალისეები აღჭურვეს და რუსების შეტევებიც მოგერიებულ იქნა. ამავე დროს კოლომოისკი კვლავაც ძველ კორუმპირებულ ოლიგარქად დარჩა. მის კორუფციულ საქმიანობაზე მთელი ლეგენდები დადიოდა. ამერიკელებმაც კოლომოისკის დაპატიმრება მოითხოვეს. პასუხად ოლიგარქმა უკრაინის ევროპული არჩევანი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ამ სიტყვებმა მთელი უკრაინა აღაშფოთა. ახლა უკვე ხალხის ფართო მასები მოითხოვდნენ კოლომოისკის დაპატიმრებას. თავის მხრივ ამერიკელთა პოზიციაც მტკიცე იყო: კოლომისკი პასუხისგებაში უნდა მიეცეს! ბოლო-ბოლო ზელენსკიმ დათმო. ბლინკენის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღით ადრე კოლომოისკი დააპატიმრეს.

ამერიკელები მარტო ამას როდი დასჯერდნენ. ახლა ერმაკის ჯერი დადგა.

დღეისათვის მთელს კორუფციას უკრაინაში ზელენსკის ოფისის უფროსი ანდრეი ერმაკი აკონტროლებს. ის ფაქტობრივად უკრაინის არაფორმალური მმართველია! ერმაკი ფინანსებს განაგებს და საკადრო პოლიტიკაშიც ერევა. იური შვეცის აზრით, ერმაკს მჭიდრო კავშირები აქვს როგორც რუსულ სპეცსამსახურებთან, ისე რუსულ პოლიტიკურ წრეებთან. ის უკრაინაში რუსული გავლენის გამტარებლადაც მოგვევლინა. შესაბამისად, კორუფციიდ და რუსული შპიონაჟი მართლაც მჭიდროდაა გადახლართული. ბლინკენმაც ზელენსკის ამის შესახებ პირდაპირ განუცხადა.

უკრაინა და იაპონია შეთანხმდნენ

უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს იოშიმასა ჰაიაშის შეხვდა. საუბარი ძირითადად იაპონიის მიერ უკრაინისათვის უსაფრთხოების გარანტიებს შეეხებოდა.

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. რუსული არმია კვლავ შეეცადა კუპიანსკთან შეტევის ორგანიზებას. უკრაინელებმა მტერს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს და აიძულეს, უკან დაეხია. პუტინის ბრძანებით, კუპიანსკის ფრონტზე რუსებმა დამატებითი ძალები გადაისროლეს. რუსები ახალი ძლიერი შეტევისათვის ემზადებიან.

დრამატული მოვლენები განვითარდა დონეცკის ფრონტზე. აქ უკრაინულმა არმიამ აეროპორტის ტერიტორიისაკენ გარღვევა მოახერხა. რაც შეეხება მდგომარეობას ავდეევკასთან და მარინკასთან, აქ ვითარება უცვლელია. უკრაინელები თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ.

ბახმუტის შემოგარენში უკრაინული არმიის წინსვლა გრძელდება. უკრანელებმა კონტროლი დაამყარეს კლესჩივკის ცენტრზე. რუსი ოკუპანტები ჯერჯერობით კლესჩივკის გარეუბნებში არიან გამაგრებულნი.

ზაპოროჟიეს ფრონტზე უკრაინელები განაგრძობენ წინსვლას ბერდიანკისა და მელიტოპოლისაკენ. ბერდიანსკთან ოკუპანტებმა კონტრშეტევის ორგანიზება სცადეს. სამწუხაროდ, მათ რამდენიმე კილომეტრი წინსვლა შესძლეს.

ცხარე ბრძოლებია ტოკმაკთან. ეს ქალაქი მელიტოპოლისაკენ მიმავალ გზაზე უკანასკნელი სერიოზული დაბრკოლებაა.

შედგა დიდი ოცეულის სამიტი



ნიუ-დელიში შედგა დიდი ოცეულის სამიტი. მან რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით მიიღო რეზოლუცია, რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს:

1) კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება. უნდა განუხრელად იქნას დაცული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, აგრეთვე საერთაშორისო სამართალი;

2) კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისას დიპლომატიასა და დიალოგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება;

3) დიდი ოცეული მზადაა, მხარი დაუჭიროს ნებისმიერ კონსტრუქციულ წინადადებას, რომელიც მიმართული იქნება ჭეშმარიტად სამართლიანი და გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად;

4) დიდი ოცეულის ლიდერები მოუწოდებენ „მარცვლეულის შეთანხმების“ განუხრელი დაცვისაკენ;

5) დიდი ოცეული დაუშვებლად მიიჩნევს ნებისმიერ მუქარას ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ.

აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ რუს ჩინოვნიკებს მიმართა

აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ რუს ჩინოვნიკებს მიმართა. სპეციალურად გავრცელებულ ვიდეოში ნათქვამია, რომ ჩინოვნიკებმა რუსეთში არსებული სისტემა უნდა ამხილონ.

ამერიკელი მზვერავები რუსეთში არსებულ რეჟიმს დანაშაულებრივს უწოდებენ.

ზელენსკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია. განხილულ იქნა შემდეგი საკთხები: 1) ფრონტებზე შექმნილი მდგმარეობა; 2) უკრაინული პორტების დაცვა; 3) უკრაინული ენერგეტიკის დაცვა.

სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა უკრაინის პრემიერი შმიგალი.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.544; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 8.739; არტილერია – 5.789; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 508, თვითმფრინავები – 315; ფრთოსანი რაკეტები – 1.455. განადგურებულია 268.140 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ავსტრალიამ კლასით, ბვაჯოგა და შეცდომები არ-ბვაპატია

ავსტრალია – საქართველო 35:15

ჰარიზი. სტად დე ფრანსე

2023 წლის მსოფლიო თასი საქართველოს ნაკრებმა ავსტრალიასთან მარცხით გახსნა. ამ გუნდებმა ისტორიაში სულ მეორედ ითამაშეს ერთმანეთის პირისპირ. პირველი შეხვედრა 2019 წლის მსოფლიო თასზე შედგა და მაშინ ავსტრალიამ 27:8 იმარჯვა. ამჯერად „ვოლაბებს“ ორი ლელო და 15 ქულა გავუტანეთ, მაგრამ გამოცდილი მეტოქის დასამარცხებლად ეს საკმარისი არ გამოდგა.

„სტად დე ფრანსეზე“ გამართულმა მეორე ტაიმმა აჩვენა, რომ საქართველოს ბევრად უფრო მისაღები შედეგის დაფიქსირება შეეძლო. თუმცა, ის შეცდომები დაუშვეს, რასაც ძლიერი გუნდი არასდროს აპატიებს და შედეგიც სახეზეა.

როგორც ჩანს, ბორჯღალოსნებმა სადებიუტო მატჩის მღელვარებას ვერ სძლიეს და პირველ ტაიმში თამაში არ წაუვიდათ. პირველ ნახევარში ხშირი იყო ფეხით თამაში და საჰაერო ორთაბრძოლები, რითაც მეტოქემ მეტი სარგებელი მიიღო. ავსტრალია უკეთესი იყო შერკინებაში, ხშირად ვჯარიმდებოდით და გვიფუჭდებოდა ბოჭვები.

საწყისი „პინგ-პონგის“ შემდეგ „ვოლაბებმა“ ჩვენს 22-ში დერეფნის მოწოდების უფლება მიიღეს, იქედან ბურთი გაგვიშალეს, ბოლომდე ჩაათამაშეს და ჯორდან პეტაიამ ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა. განახლდა თუ არა შეხვედრა, ვასილ ლობჟანიძემ დაფარებაზე ითამაშა, ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა და ჯარიმა გამოიმუშავა, რომელიც ლუკა მატკავამ 3 ქულად აქცია.

მორიგი ფეხით თამაშის შემდეგ ავტრალიამ უკვე ხელდახელ შეუტია, ზედიზედ რამდენიმე ბოჭვა გაცუდდა და მე-9 წუთზე მეორე ლელო მივიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთელები სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, ავსტრალიელთა თავკაცმა ედი ჯოუნსმა რისკს თავი აარიდა. მისმა შეგირდებმა პირველ ტაიმში დასარტყმელი პოზიციებიდან სამი ჯარიმა გაიტანეს და მეტოქის შეცდომებითაც სათანადოდ ისარგებლეს.

პირველ ტაიმში სულ ორი დასამახსოვრებელი მომენტი გვქონდა: ჯერ დავით ნინიაშვილმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო, რომელიც აკა ტაბუცაძემ გააგრძელა, მაგრამ ფეხით თამაში იჩქარა და ბურთს ვეღარ მიუსწრო; ტამის ბოლოს კი, ლუკა მატკავასა და მირიან მოდებაძის გარღვევის შემდეგ ლელოს გატანის პირველი რეალური შანსი გვქონდა, თუმცა, მეტოქის 22-ში ბურთი დავკარგეთ.

რადგან ხშირად ვჯარიმდებოდით, ტაიმის მიწურულს მოდებაძემ ყვითელი ბარათი მიიღო და გუნდები შესვენებაზე ასე გავიდნენ. მთლიანობაში, დიდი ხნის განმავლობაში უბურთოდ ყოფნამ და უმეტესად ჩვენს ნახევარზე თამაშმა, მეტოქეს 18-ქულიანი უპირატესობა მოუპოვა – 21:3.

მეორე ტაიმში საქართველომ ბევრად უკეთესი თამაში აჩვენა და ორი გატანილი ლელოს გარდა, მინიმუმ ამდენის გატანა კიდევ შეეძლო. „ბორჯღალოსნები“ თამაშში უფრო მობილიზებული დაბრუნდნენ და მიუხედავად იმისა, რომ კაცნაკლულები იყვნენ, მეტოქე წნეხში მოაქციეს.

შერკინებაში მოპოვებული ჯარიმის შემდეგ, ავსტრალია საკუთარ 22-ში დაჯარიმდა. მოლს წინსვლა არ ჰქონდა, მაგრამ ლევან მაისაშვილის შეგირდებმა ფაზების გადაბმა მოახერხეს, მერე მატკავამ გრძელი პასით ლუკა ივანიშვილი მოძებნა, რომელიც ორ მცველს ეკვეთა და მიმდინარე მსოფლიო თასზე საქართველოს პირველი ლელო გაიტანა.

55-ე წუთზე მოდებაძემ ჩვენს 22-ში სწრაფად გაათამაშა თავისუფალი და ნინიაშვილმაც ხაზი გაჭრა. ფულბეკმა დაახლოებით ცენტრამდე ირბინა, მას შეტევის გაგრძელების ორი მიმართულება ჰქონდა, მაგრამ შებოჭილმა შეცდომა დაუშვა, ამოგდებული ბურთი პირდაპირ ავსტრალიელის ხელში აღმოჩნდა და იქით გასატანი ლელოს ნაცვლად კონტრშეტევაზე აქეთ მივიღეთ.

65-ე წუთზე ლელოს გატანის კიდევ ერთი შანსი გაჩნდა, როდესაც მერაბ შარიქაძემ ჭრაზე გიორგი კვესელაძე შეიყვანა. მან ხაზი გაგლიჯა, მაგრამ ბურთი ვეღარ დაიმორჩილა. ამას ავსტრალიელთა ზედიზედ სამი გაფუჭებული დერეფანი მოყვა, მაგრამ ვერცერთის გამოყენება ვერ შეძელით, მეოთხე მოწოდება კი ზუსტი იყო და ავსტრალიამ მეოთხე, ბონუსლელო გაიტანა.

დასკვნითმა წუთებმა „ბორჯღალოსნების“ იერიშებში ჩაიარა და სამჯერ მოგვეცა ლელოს გატანის შესაძლებლობა. პირველ ეპიზოდში ხაზმა კარგად გაშალა შეტევა და მოდებაძის პასის შემდეგ ტაბუცაძე ალამთან ლელოში შევიდა, თუმცა, დამიწებამდე მბოჭავმა ბურთი გააგდებინა. მერე კვესელაძემ ჩვენი ნახევრიდან წამოიწყო შეტევა, რომელიც ტაბუცაძემ გაგრძელა, მაგრამ მეტოქის 22-ში პასმა არ ივარგა.

სულ ბოლოს ლელო მაინც გავიტანეთ. დერეფნიდან მოლის ნაცვლად ბურთი შარიქაძეზე გავიდა, რომელსაც მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა. საქმეში ბექა გიგაშვილი ჩაერთო, დამცველი დაჯაბნა და მისი ლელო თედო აბჟანდაძემ არეკნით გარდასახა – 35:15.

ლევან მაისაშვილი:

– ძალიან ცუდად ვითამაშეთ, საკუთარი თავი წნეხში მოვაქციეთ, მაგრამ მეორე ტაიმში უკეთ გამოვიყურებოდით. იმედგაცრუებული ვარ, რომ მომენტები ვერ გამოვიყენეთ და შეცდომების გამო ქულები ვერ დავაგროვეთ. ეს პირველი თამაში იყო, რთული შეხვედრა გამოვიდა. გავაანალიზებთ მატჩს და დასკვნებს გამოვიტანთ.

მეტოქემ ძალიან კარგად ითამაშა, ჩვენი დისციპლინის პრობლემა კი, მხოლოდ ცუდი თამაშით არ არის გამოწვეული – ბევრი ემოციაც გვქონდა. მინიმუმ სამი კარგი შანსი გავანიავეთ და საბოლოოდ ენერგიაც დავკარგეთ. საკმაოდ სუსტად ვითამაშეთ და მეტოქეს დომინანტობის საშუალება მივეცით, ამიტომ იმედგაცრუებული ვართ. ავსტრალიას ახალგაზრდა მორაგბეები ჰყავს, მაგრამ მათ კარგ გუნდებთან თამაშის გამოცდილება და გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ მაღალი კონკურენტუნარიანი რაგბის სათამაშოდ. ბიჭების მადლობელი ვარ, რადგან მათ ბოლომდე იბრძოლეს. არ გვქონდა თავდაჯერებულობა, მაგრამ ახლა მთავარი მომდევნო მატჩია პორტუგალიასთან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ესპანეთმა სარკეში ჩაგვახედა

საქართველო-ესპანეთი 1:7

თბილისი. დინამო არენა
0:1 მორატა (22), 0:2 კვირკველია (27სკ), 0:3 ოლმო (38), 0:4 მორატა (40), 1:4 ჩაკვეტაძე (49), 1:5 მორატა (66), 1:6 უილიამსი (68), 1:7 იამალი (74)

საქართველო: მამარდაშვილი, გოჩოლეიშვილი (საზონოვი 77), კაშია, კვირკველია, აზაროვი (დვალი 60), აბურჯანია (ჩაკვეტაძე 46), გაგნიძე (მექვაბიშვილი 46), კიტეიშვილი, ლობჟანიძე (დავითაშვილი 46), კვარაცხელია, მიქautაძე

ესპანეთი: სიმონი, კარვახალი, ლე ნორმანი, ლაპორტი, გაია, გავი (მერინო 58), როდრი (სუბიმენდი 72), ფ.რუისი, ასენსიო (ნ.უილიამსი 44), ოლმო (იამალი 44), მორატა (ხოსელუ 72)

ვილი სანიოლის ხელში საქართველოს ნაკრებმა ანტირეკორდი დაამყარა – აქამდე, ამხელა სხვაობით არ წაგვეგო და ერთ მატჩში არც ამდენი გოლი გვაგვეშვა. შედეგად, სანიოლი ჩვენი ნაკრების ისტორიაში ნეგატიური კუთხით უკვე შევიდა და ამ სირცხვილს ვეღარ ჩამოირეცხავს.

რაც არ უნდა ვისაუბროთ, რომ ესპანეთის ნაკრები ძლიერი გუნდია, მათი ფეხბურთელები დიდ გუნდებში თამაშობენ, ვერანაირი გასასამართლებელი საბუთი ვერ იქნება. ის, რაც „დინამო არენაზე" მოხდა, დიდი შავი ლაქაა – დღეს, ასეთი ანგარიშით თავმოყვარე გუნდი არ აგებს.

ნურც იმის მაგალითს მოიყვანს ვინმე, რომ ზუსტად ასეთი ანგარიშით ბრაზილიამ საკუთარი გულშემაკივრების თვალწინ გერმანიასთან მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში წააგო.

ესპანელი ფეხბურთელები მთელი მატჩის განმავლობაში, რისი გაკეთებაც უნდოდათ, ყველაფერს აკეთებდნენ, ქართველები კი, ამ სანახაობის მხოლოდ მომსწრენი იყვნენ და თვალს ადევნებდნენ.

ცხადია, ფეხბურთელები საკუთარ პასუხისმგებლობას ვერ აირიდებენ, მაგრამ მთავარ მწვრთნელს ვინ მოჰკითხავს, ახლა საინტერესო მხოლოდ ეს არის.

გაცხადდა თუ არა სასტარტო შემადგენლობა, ჩვენი გაკვირვება იქედან დაიწყო. თუ ფრანგი სპეციალისტის ხელში საქართველოს ნაკრები სამი ცენტრალური მცველით თამაშობდა, ესპანეთთან ორით დავიწყეთ. ვერ გეტყვით რა ჩანაფიქრი ჰქონდა მუსიე ვილს, მაგრამ მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საფეხბურთო სპეციალისტი პირდაპირ ეთერში გადაწყვეტილებას უწონებდა. არადა, ეს სპეციალისტები ქართულ საფეხბურთო სამყაროში ამინდს ქმნიან. მათი არგუმენტი ასეთი იყო – სანიოლს არ სურს მეტოქეს ბურთი დაუთმოს და ფლანგის მცველებით შეაწუხოს. არადა, მთელი მატჩის განმავლობაში ფლანგის მცველი შეგვიწუხეს და აგვიწიოკეს.

თუმცა, ყველაფერს ფლანგის მცველებსაც ნუ გადავაბრალებთ – საქართველოს ნაკრების არცერთი ფეხბურთელი სათამაშოდ მზად არ იყო. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ნახევარდაცვის საყრდენი ზონა და დაცვის ცენტრი საქართველოს ნაკრების უმთავრესი პრობლემაა. ამას სანიოლიც ხედავს, მაგრამ რატომღაც მისი სწორად ათამაშება არ სურს.

გურამ კაშიასა და საბა კვირკველიას საქართველოს ნაკრების წინაშე ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვით და ის გარჯა არ უნდა დავუკარგოთ, რაც ქვეყნის სამსახურს შეალიეს, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს. ორივე ფეხბურთელის ფორმის პიკი ჩავლილი ამბავია, ორივე ასაკშია და მარტო გამოცდილებისა და დამსახურების გამო შემადგენლობაში მოხვედრა, ცოტა არ იყოს უხერხულია. ორივეს დაეკლდა სისწრაფე, რაც ვერცხლისწყალივით მოძრავ ესპანელებთან პრობლემა გახდა. ის კი არა, რომ გიორგი მამარდაშვილმა შესანიშნავად ითამაშა და რამდენიმე ეპიზოდში გადაგვარჩინა, თორემ სხვაობა ორნიშნაც იქნებოდა.

მამარდაშვილს გაშვებული გოლების დროსაც შეეძლო კარის გადარჩენა, მაგრამ ზოგჯერ ესპანელებს ჩვენც ვეხმარებოდით...

კიდევ უფრო დიდი პრობლემა გვაქვს საყრდენ ზონაში – გიორგი აბურჯანია და ლუკა გაგნიძე ესპანელებმა უსაქმოდ და სტატისტების როლში დატოვეს. აქაც ბევრად უკეთესი ვარიანტის მოფიქრება შეუძლია, მაგრამ...

არ ვიჩემებთ სპეციალისტობას, მით უფრო, რომ ურემი უკვე გადაბრუნებულია და თამაში წაგებული, მაგრამ მუსიე ვილის ბევრად უკეთესი შემადგენლობის გაყვანა შეეძლო.

თუმცა, რა უნდა მოვთხოვოთ ისეთ მწვრთნელს, რომელიც საქართველოში ჩატარებული ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის მატჩებს არ დასწრებია, არ უნახავს საქართველოს მომავალი თაობა, არ ამბობს, რა გეგმები და მიზნები აქვს სამომავლოდ...

სანიოლის ხელში ნაკრები დემორალიზებულია. თუ იყო გამარჯვებები ც დივიზიონში, ეს იყო კონკრეტული 2-3 ფეხბურთელის ხარჯზე და არა სანიოლის გონება-გამჭრიახობასა და საფეხბურთო ცოდნაზე...

ან საერთოდ რაზე უნდა ვისაუბროთ, როდესაც მწვრთნელი პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, ჟურნალისტებს ორიოდე სიტყვა მიუგდო და მათ კითხვებს არ უპასუხა...

ვილი სანიოლი:

– დარწმუნებული ვარ, იცით, რომ თქვენს კითხვებს ყოველთვის ვპასუხობ. მაგრამ ისეთი კატასტროფული ანგარიშით წავაგეთ, 300 კითხვაზე პასუხიც არ იქნება საკმარისი...

პირველ რიგში, ბოდიში ჩვენს შესანიშნავ გულშემატკივარს, რომელიც ცუდი თამაშის მიუხედავად, ბოლომდე მხარს გვიჭერდა, დღეს ქებას მხოლოდ ისინი იმსახურებდნენ...

შეიძლება ითქვას, დღეს არაფერი გამოგვივიდა, არც ბურთით, არც უბურთოდ, არც ტექნიკაში, არც კონტრშეტევაზე... თამაში ყველა დონეზე ჩავაგდეთ. უახლოეს პერიოდში დაველაპარაკები ფეხბურთელებს, გავარჩევთ, რაც მოხდა. ვიმეორებ – კატასტროფული თამაში იყო, ეს ეხება როგორც ფეხბურთელებს, ასევე მეც...

ჩვენ პატიოსნად უნდა დავილაპარაკოთ ერთმანეთთან და უნდა შევთანხმდეთ, რა დონეზე ვართ ახლა და რა დონეზე უნდა ვიყოთ მომავალ წელს ერთა ლიგის ფლეი ოფისთვის.

იმაზეც, თუ რა მოლოდინები გამაჩნია ნორვეგიასთან მატჩისთვის...

ცუდი და კარგი თამაში ფეხბურთის ნაწილია. მაგრამ ასეთი ჩავარდნა დაუშვებელია. ჩავთვალე, რომ გასახდელში ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა... ბოდიში, რომ ვერ გიპასუხებთ კითხვებზე, სალაპარაკო კი ბევრია... კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს. ყველა ერთად ვიმუშავებთ, რომ შემდეგ მატჩში სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

გურამ კაშია:

– 1:7-ს რომ წააგებ ნაკრების მაისურით, ბევრი რამ არ არის შესაფასებელი. ძალიან მწყდება გული. გულდასაწყვეტია, რომ გულშემატკივრებს ასე გავუცრუეთ იმედები. ალბათ, არავინ ვიმსახურებდით დღეს ნაკრების მაისურით თამაშს – არცერთი ფეხბურთელი. ძალიან მაინტერესებს, შემდეგ მატჩში როგორ ვითამაშებთ. თითოეულმა ფეხბურთელმა ხასიათი უნდა გამოავლინოს. დღეს ძალიან სუსტები ვიყავით. როგორც კაპიტანი, რა თქმა უნდა, ვგრძნობ პასუხისმგებლობას. ამ შედეგზე ყველა ფეხბურთელი პასუხისმგებელია. ყველამ საკუთარ თავში უნდა მონახოს პრობლემა.

ლუის დე ლა ფუენტე:

– თამაშის წინ ყოველთვის ძნელია, რომ შედეგში დარწმუნებული იყო – მით უფრო, ასეთ დიდ სხვაობაში. თუმცა, ჩემი გუნდი მთელი თამაში კონცენტრირებული და თავდაჯერებული იყო. ამას ზურგს უმაგრებს დიდი ხნის შრომა, ფეხბურთელების ნიჭი და მათ მიმართ ნდობა. ამიტომაც, ეს შედეგი მივიღეთ და ძალიან გვიტოვია. მაგრამ ნებასვარ ასეთი ანგარიშის წარმოდგენა, ცხადია, ძალიან რთული იყო.

ამ შედეგის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებზე აზრი არ შემიცვლია. მათ ისეთი გუნდის წინააღმდეგ თამაში მოუწიათ, როგორიც ჩვენ გვყავს. არცერთ მომენტში არ მოვდუნდით, შესაბამისად, მიუხედავად შედეგისა, საქართველოს ნაკრები ჯგუფში ერთ-ერთი გამორჩეულია და დარწმუნებული ვარ, მომავალში ძალიან კარგად ითამაშებს.

საქართველოს ნაკრებს ნუ დავუკარგავთ ღირებულებებს. როგორც ვთქვი, ამ ჯგუფში ერთ-ერთი ძლიერია. შესაბამისად, გჯეროდეთ, რომ მომავალში უკეთეს შედეგს აჩვენებენ. ზოგჯერ არ არის სასურველი შედეგი, მაგრამ ჩვენნაირ გუნდთან თამაშიც ადვილი არ არის. საქართველოს ნაკრები იმდენად სოლიდური და მყარია, რომ დარწმუნებული ვარ, უკეთესი შედეგები ექნება.

ჩვენივე ჯგუფში ლიდერი შოტლანდია თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ კვიპროსს ეწვია და 3:0 მოიგო. სქოთებმა საქმე პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს, როდესაც სამი უპასუხო გოლი გაიტანეს და შესვენების შემდეგ თავი აღარ მოუკლავთ.

საატჩინიო ცხრილი:

1. შოტლანდია	5	5	0	0	12-1	15
2. ესპანეთი	3	2	0	1	10-3	6
3. ნორვეგია	4	1	1	2	5-7	4
4. საქართველო	4	1	1	2	4-11	4
5. კვიპროსი	4	0	0	4	2-11	0

მომდევნო ტური:

12 სექტემბერი: ნორვეგია-საქართველო; ესპანეთი-კვიპროსი;

საქართველოს ქალთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალშია

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მიმდინარეობს. ტურნირი ახალი ფორმატით ტარდება – ორ ჯგუფად გაყოფილი გუნდები დღეში ორ მატჩს თამაშობენ, რადგან პარტიების დრო შედარებით ხანმოკლეა: მოჭადრაკეებს პარტიისათვის 45-45 წუთი აქვთ, ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით.

ა ჯგუფიდან მეოთხედფინალში თამაშის უფლება ყაზახეთმა (9 ქულა), საქართველომ (7), საფრანგეთმა (5) და უკრაინა (5) მოიპოვეს, ხოლო ბ ჯგუფიდან – ამერიკამ (7), პოლონეთმა (7), ჩინეთმა (6) და გერმანიამ.

მეოთხედფინალის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებმა ჩინელი მოჭადრაკეები 2.5:1.5 დაამარცხა. ჩვენს გუნდში გამარჯვების ქულა მერი არაბიძის იყო, სხვა პარტიები ყაიმით დასრულდა.

განმეორებითი მატჩი უფრო დაძაბული გამოდგა, მაგრამ ქართველმა მოჭადრაკეებმა კრიტიკულ სიტუაციებში თავის დაღწევა მოახერხეს და საბოლოოდ, 2:2 დასრულდა, ჯამში კი, 4.5:3.5 მოვიგეთ.

მეოთხედფინალების დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: ყაზახეთი-გერმანია 5:3, საფრანგეთი-პოლონეთი 5.5:2.5, აშშ-უკრაინა 5:3.

ნახევარფინალში საქართველო-აშშ და ყაზახეთი-საფრანგეთი ითამაშებენ.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ინდოელი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 3. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 4. დიდი საორკესტრო მუსიკალური ნაწარმოები; 8. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 9. ცნობილი ქართველი რაგბის მსაჯი; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 12. მომღერალთა გუნდის ძველებური სახელწოდება; 14. აეროპორტი პარიზში; 16. მომავალი სამუშაოს, მოღვაწეობის გეგმა; 17. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გვირაბი; 19. ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება ინდუიზმში; 21. ცალკეული სცენებისა და ნომრებისაგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა.

თარაზულად: 5. პენიცილინის აღმომჩენი ინგლისელი მიკრობიოლოგი; 6. ხელოვნური მორწყვის ღონისძიებათა სისტემა; 7. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 10. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 13. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 15. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 18. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 20. ესტონეთის დედაქალაქი; 22. ნიდერლანდური ლუდი; 23. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 24. ფრანგული საავტომობილო კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. იმედი; 5. რადა; 6. ლოტოსი; 8. ლეკალო; 11. ენციკლიკა; 13. ვერსაჩე; 14. ფიდიასი; 15. ჰერალდი; 19. ნიკე.

თარაზულად: 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძერა; 9. დანელია; 10. ჩექმა; 12. პლანტაჟი; 16. მორიკონე; 17. ირიოკეზი; 18. კინგსტონი; 20. კაქტუსი; 21. ლეხი; 22. ოპონენტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ციტატა; 2. ფერმერი; 3. ხეჭეჭური; 4. იტალიანა; 8. ჩელენტანო; 9. მანომეტრი; 11. პარხალი; 12. კოლი; 14. არხი; 16. პოინტერი; 17. ნიშადური; 19. სინუსი; 21. კანტი.

თარაზულად: 5. კერატიტი; 6. ტრავოლტა; 7. მეტრეველი; 10. რუტერი; 13. ბენონი; 15. ქლუხორი; 18. ხორავა; 20. პანეში; 22. სინდიკატი; 23. გრინფისი; 24. უტინოურა.

შედეგები

9 სექტემბერი
ფეხბურთი

ევრო 2024. შესარჩევი ეტაპი

აზერბაიჯანი-ბელგია	0:1
ანდორა-ბელარუსი	0:0
უკრაინა-ინგლისი	1:1
ესტონეთი-შვედეთი	0:5
კოსოვო-შვეიცარია	2:2
რუმინეთი-ისრაელი	1:1
ჩრ.მაკედონია-იტალია	1:1

მრ-2026. შესარჩევი ეტაპი
სამხრეთ ამერიკა

ურუგვაი-ჩილე	3:1
ბრაზილია-ბოლივია	5:1

ოლიმპიადა 2024.
შესარჩევი ეტაპი
ფინალი

ახალი-ზელანდია-ფიჯი	9:0

აფრიკის ერთა თასი

მალავი-გვინეა	2:2
მოზამბიკი-ბენინი	3:2
დრ კონგო-სუდანი	2:0
კოტ დივუარი-ლესოტო	1:0
მავრიტანია-გაბონი	2:1
კომორი-ზამბია	1:1
სენეგალი-რუანდა	1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

11 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6251

ევრო — 2.8084

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2738

100 რუსული რუბლი — 2.6833

კვარაცხელიას შეძენით ბარსელონაც დაინტერესდა

იტალიური ნაპოლის ქართველი ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია რამდენიმე გუნდის ინტერესის სფეროში იმყოფება და ამ გუნდებს ბარსელონაც შეუერთდა. კვარაცხელიას ბოლო პერიოდში ხშირად აკრიტიკებენ, თუმცა, მის მიმართ ინტერესი არ შენელებულა და ბარსელონა მზად არის, ამ ტრანსფერში 100 მილიონი გადაიხადოს, თუ ხვიჩა წელს კარგ სეზონს ჩაატარებს. კვარაცხელიამ ჯერჯერობით ორი შეხვედრა ჩაატარა და მის ანგარიშზე ერთი საგოლე პასია.

ერლინ ჰოლანდი: „ოქროს ბურთის მოგება შემიძლია“

მანჩესტერ სიტისა და ნორვეგიის ნაკრების ფორვარდმა ერლინ ჰოლანდმა ოქროს ბურთზე ისაუბრა და თქვა, რომ მას შეუძლია ამ ტიტულის მოგება.

ჰოლანდის აზრით, ეს საკმაოდ რეალურია:

– ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ შემიძლია მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე და ამისთვის ბევრი შრომაა საჭირო. თუ ოქროს ბურთი მოვიგე, ეს ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაც იქნება.

სერხიო რამოსი: „მინდა კარიერა სევილიაში დავასრულო“

სერხიო რამოსი სევილიაში გადავიდა და მან გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ სწორედ სევილიაში დაიწყო სერხიო რამოსის კარიერა. ფეხბურთელების თქმით, ის დიდი ალბათობით სწორედ ამ გუნდში დაასრულებს ფეხბურთის თამაშს:

– ბედნიერი ვარ, რომ სევილიაში დავბრუნდი და ჩემთვის ფული ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის. მინდა, რომ კარიერა აქ დავასრულო და სავარაუდოდ, ეს ასეც იქნება, თუმცა, წინასწარ საუბარი არ მიყვარს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ალიასკის სანაპიროზე ამოუცნობი ბიოლოგიური ობიექტი აღმოაჩინეს

ამერიკელმა მეცნიერებმა ალიასკის შტატის სანაპიროსთან ამოუცნობი ბიოლოგიური ობიექტი აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას აშშ-ის ოკეანისა და ატმოსფეროს კვლევების ეროვნული სამმართველო საკუთარ ოფიციალურ გვერდზე ავრცელებს.

საიდუმლოებით მოცული ობიექტი, რომელიც გარეგნულად კვერცხს წააგავს, დაახლოებით 3,3 ათასი მეტრის სიღრმეზე 30 აგვისტოს იპოვეს. 10 სანტიმეტრზე ოდნავ მეტი დიამეტრის ოქროსფერი გუმბათის მსგავსი პრიალა ზედაპირიანი ობიექტი ქვაზე მჭიროდ იყო მიწებებული.

– ჩვენ დღემდე ვერ შევძელით მისი იდენტიფიცირება, გარდა იმისა, რომ ის ბიოლოგიური წარმოშობისაა, – განაცხადა აშშ-ის ოკეანისა და ატმოსფეროს კვლევების ეროვნული სამმართველოს წარმომადგენელმა სემ კანდიომ.

29 წლის კაცი გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-მონიკას მცხოვრებ ქალს გაელვიძა და მოულოდნელად თავისი საწოლის გვერდით უცნობი შიშველი პიროვნება შენიშნა.

აღნიშნული ინციდენტი დაახლოებით ღამის პირველ საათზე მოხდა. უცნობთან ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, ქალმა სახლის კარის გაღება და დაუპატიჟებელი სტუმრის გარეთ გაგდება შეძლო. ხოლო მას შემდეგ, როდესაც თავი უსაფრთხოდ იგრძნო, პოლიცია გამოიძახა.

სამართალდამცავებმა 29 წლის ეჭვმიტანილი დააპატიმრეს, რომელიც მანამდე ორჯერ შენიშნეს სწორედ იმ შენობაში, რომელშიც ქალი ცხოვრობს. მას ბრალად ედება გაუპატიურების მიზნით თავდასხმა, სხვის ბინაში უკანონოდ შეღწევა და ადამიანისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

ამერიკის ფლორიდის შტატში დათვები სახლებში შედიან

ამერიკის ფლორიდის შტატში სამფეხა დათვმა სახლის ვერანდაზე შეაღწია და რამდენიმე ალკოჰოლური სასმელი დალია.

აღნიშნული შემთხვევა პატარა ქალაქ ლეიკ-მერიში კვირას, 3 სექტემბერს მოხდა. სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს, თუ როგორ მიუახლოვდა ის შენობას. ამ დროს სახლში მხოლოდ 13 წლის ჯოზეფ დიგლიო იმყოფებოდა, რომელიც ტელევიზორს უყურებდა. პირველმა გარეული ცხოველის მისვლა ძაღლმა, სახელად ბრუნომ, იგრძნო და ყეფა ატეხა.

დაუპატიჟებელი სტუმარი ლეიკ-მერიში ცნობილი სამფეხა დათვი აღმოჩნდა, რომელსაც ადგილობრივებმა სახელად შტატივი დაარქვეს. გარეული ცხოველი ვერანდაზე შევიდა, მცირე ხანს იქ იბოდიალა, შემდეგ კი მაცივარს მიადგა, კარი გააღო და შიგნით იქექებოდა. მოგვიანებით გარკვა, რომ დათვმა კოქტეილების ქილებს მიაგნო და დალია.

მთელი ამ დროის მანძილზე ამ ყოველივეს მოზარდი ფანჯრიდან მობილური ტელეფონით ვიდეოზე იღებდა და კომენტარებსაც აკეთებდა.

– ჩვენ პატიოში ნამდვილი დათვი იმყოფება. ღმერთო ჩემო, დათვი ასე ახლოდან არასოდეს მინახავს, – ამბობს მოზარდი კადრს მიღმა.

საბოლოოდ გარეული ცხოველი ბრუნომ დააფრთხო და ის სახლს გაეცალა. მოგვიანებით დიგლიომ განაცხადა, რომ დათვი მათ ვერანდას უკვე მეორედ სტუმრობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბექა ყორშია და ქეთა ციცქიშვილი ერთობლივ გადაცემას წაიყვანენ



ტელეკომპანია „მთავარის“ ჟურნალისტები ბექა ყორშია და ქეთა ციცქიშვილი ახალ ერთობლივ გადაცემას წაიყვანენ.

შაბათ-კვირის დილას მაყურებელს ისინი ერთდროულად მიესალმებიან.

უქმეების გადაცემის „შენი დილა“ ახალი წამყვანები ბექა ყორშია და ქეთა ციცქიშვილი იქნებიან. ისინი არაერთ საინტერესო თემაზე მიწვეულ სტუმრებთან ერთად ისაუბრებენ.

„თამადა“ უკრაინაში ჩავიდა

მომღერალი ლაშა ჩხაპელია, იგივე „თამადა“ უკრაინაში ჩავიდა.

ინფორმაცია გიგა მაქარაშვილმა გაავრცელა:

– რას ითხოვენ ხოლმე თამადები? სიჩუმეს, ბოლომდე დალევას, ფეხზე წამოდგომას, განსხვავებულს. ჩემმა თამადამ დროშა მთხოვა, კიევში უნდა შევუბერო და დროშა მომაშველეო. უნდა ნახოთ, როგორ დახვდა უკრაინა, საქართველოს სკანდირებენ!

თემურ თათარაშვილის კონცერტი გაუქმებულია

მომღერალ თემურ თათარაშვილის კონცერტი გაუქმებულია. გადაწყვეტილება ორგანიზატორმა თეა ლომიძემ მიიღო. ამის მიზეზი გურიის სტიქიაა:

– გავაუქმე თემურ თათარაშვილის კონცერტი და ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ.

იმ დროს, როდესაც გურიაში ხალხი სტიქიას ებრძვის, წარმოუდგენლად მიმაჩნია, გავმართო კონცერტი, მით უმეტეს, როდესაც ბავშვია ამ სტიქიის მსხვერპლი.

მტკივა ძალიან, ასე განაწყენებულია ბუნება ჩვენზე და იქნებ ცოტა მეტი ჩავფიქრდეთ საკუთარ თავზე, მოვიშოროთ ამდენი ბოღმა, შური, ერთმანეთის ლანძღვა უშვერი სიტყვებით და დაუნდობელი განწირვა ადამიანების.

დრო ისე ჩქარა გარბის, არ ღირს ამ დროის დაკარგვა. ვისწავლოთ ერთმანეთის სიყვარული იმაზე მეტად, რაც დღეს შეგვიძლია, გავცეთ მეტი პოზიტივი იმაზე მეტად, რაც დღეს გვეზარება. დავფიქრდეთ ძილის წინ იმაზე, თუ ამ დღით ვის რა ვარგეთ და თუ ვერაფერი, ხვალ ვცადოთ მეტი.

იქნებ დედამიწაც შემსუბუქდეს პოზიტივისგან და დამშვიდდეს.

მომიტევეთ, თუ თქვენი ძვირფასი დრო წაგართვით. მე არ მაქვს უფლება, ვინმეს რამე ვასწავლო, რადგან განვლილი ცხოვრების მანძილზე უამრავი შეცდომა დავუშვი, მაგრამ არცერთი ბოროტება.

გია მარღანია და დიმიტრი ხვთისიაშვილი კაიროში დააჯილდოვეს



ქორეოგრაფი გია მარღანია და რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი კაიროში გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე დააჯილდოვეს. მათ ჯილდო საუკეთესო რეჟისურისთვის მიიღეს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადგმული სპექტაკლისთვის „ოტელო“.

კაიროში, ექსპერიმენტული თეატრების საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ეგვიპტელი მაყურებლის წინაშე წარადგინა სპექტაკლი „ოტელო“, რომელიც უილიამ შექსპირის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით არის დადგმული.

წარმოდგენამ დამსწრე საზოგადოების მოწონება და ხანგრძლივი ოვაციები დაიმსახურა.

– თეატრს ჯერ კიდევ შესწევს ძალა, შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე. ენობრივი ბარიერის მიუხედავად, რამდენიმე წუთის განმავლობაში გამოხატოს ოვაციები. ეს იყო სიურპრიზი, ზღაპრული და დიადი. თოჯინები და მსახიობები – დეტალები ჰარმონიულად ერწყმოდნენ ერთმანეთს. თავად თოჯინა იყო მსახიობი! ქართველების მიერ წარმოდგენილი „ოტელო“ გასაოცარი, შემოქმედებითი, ზღაპრული, ძალზედ თამამი და ჭკვიანური ხედვით დადგმული სპექტაკლია, – ასე შეაფასა ქართველების დადგმული „ოტელო“ ეგვიპტელმა დრამატურგმა ისრა მაჰბუბიმ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ზომიერი კლიმატის სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი; 5. საცხენოსნო შეჯიბრება; 6. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 14. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

თარაზულად: 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც განთავსებულია სამაშველო ნავები; 7. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. საყოველთაოდ ცნობილი გაცვეთილი ჭეშმარიტება; 10. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 12. კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. რაიონული ცენტრი კახეთში; 17. ქართული კონიაკი; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. განსაკუთრებული ნიჭი; 21. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული კერძი; 22. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა